



# ახალი ივერია

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის  
საზღვარგარეთელი ახალგაზრდობის ორგანო.

LA NOUVELLE IVERIE

ORGANE DE LA JEUNESSE NATIONALE DEMOCRATE GEORGIENNE

N° 6

პარიზი

1937



5-524

ოქტომბერი, 1937 წ.

ჩვენს დროში საკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენები ისეთი აჩქარებული ტემპით ვითარდებიან, რომ არსებული მდგომარეობის ახალიზით მოსალოდნელი პერსპექტივების სწორად განსჭვრეტა მეტად ძნელია. დიდი ომის შემდეგ ეპოქას საერთოდ არასტაბილურობა ახასიათებს, ხოლო უკანასკნელ წლებში პოლიტიკური „სენსაციები“ ისეთი სისწრაფით ცვალებადობენ, რომ ჩვენს ორგანოში მათი სრულად აღნუსხვა და შეფასება ტექნიკურად შეუძლებელია.

პატივცემულმა მკითხველმა გვაპატიოს, თუ ჟურნალის სიმცირის გამო ჩვენ იძულებული ვიქნებით მთელ რიგ პოლიტიკურ მოვლენებს სიჩუმით ჩავუაროთ. აქ შევეხებით მხოლოდ ისეთ საკითხებს, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის ბედთან პირდაპირ თუ ირიბულად რაიმე კავშირი აქვთ. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობას ახასიათებს - იდეათა შეჯახების მომენტი. შეცდომა იქნება, რომ ეს დაპირისპირება თვით იდეათა სიყვარულით ავსნათ. იდეა მხოლოდ პირბადეა შეგნებული ინტერესების დასაცავად. რეჟიმების ჰასაკის მიხედვით, რომ დავალაგოთ, ერთმანეთს დაპირისპირებული არიან: დემოკრატიული წყობილების ქვეყნები, მარქსისტული დიკტატურის განმასახიერებელი რუსეთი და მემარჯვენე დიკტატურის ქვეყნები, ძლიერი გერმანიის მეთაურობით. კაცობრიობა ფაქტიურად ამ სამ ძალად არის დაყოფილი.

პირველი ძალის მთავარი ლერძი ინგლის - საფრანგეთის ინტერესთა სოლიდარობა და მათი ფაქტიური პოლიტიკური კავშირია. როგორც ვიცით, ინგლის - საფრანგეთის ისტორიული მტრობა და ხანგრძლივი ქიშპობა დასრულდა ამ საუკუნის დასაწყისში და 1904 წლის ხელშეკრულებით ეს ქვეყნები საბოლოოდ აგვარებენ ყველა მნიშვნელოვან სადავო საკითხს და ინაწილებენ მსოფლიო ბაზრებს. უკანასკნელი მსოფლიო ომიც მათი გამარჯვებით თავდება და ინგლის - საფრანგეთის ძლიერება უმაღლეს წერტილს აღწევს. ამჟამად მათ განკარგულებაში არსებული ტერიტორიები თვითეულს საგნებით უკმაყოფილებს სავაჭრო - სამრეწველო და სამეურნეო მოთხოვნილებებს. ახალ დაპყრობებზე აქ აღარა ფიქრობენ. ზედმეტი ახალი სივრცის მოვლა მათ ფიზიკურ შესაძლებლობას აღემატება. ორივე ქვეყანა დაინტერესებულია დღეს არსებული სტატუს - კვოს შენახვით. აქედან მათი პოლიტიკური ინტერესების ბუნებრივი სოლიდარობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე ქვეყანაში დამყარებუ-

ლია მტკიცე რწმენა, რომ არსებული სახელმწიფო წეს - წყობილება მათი მფლობელობის შენარჩუნების გარანტია და სინონიზია.

მეორე ძალას ნეთაურობენ მსოფლიო ომში დამარცხების სიმძიმით წვიწროვებულ გერმანია და ვერსალის ზავით უკმაყოფილო იტალია. ცნობილია, რომ გერმანიის მრეწველობა უაღრესად განვითარებულია, მაგრამ განიცდის ნედლი მასალის სიციწროვებს. ამიტომ გერმანიის მულმივი და ბუნებრივი მისწრაფებაა მთიბოვოს მისთვის აუცილებელი ნედლი მასალა და საკუთარი ნაწარმოებისათვის საჭირო ბაზარი. ამ მიზნის მისაღწევად გერმანიის დღევანდელი მეთაურობის მოქმედებას ორი რეალისტური შეხედულება უდევს საფუძვლად: ერის ეკონომიურ - მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა არ დაუკავშიროს პოლიტიკური შურის ძიების გრძნობას — აქედან გერმანიის მეთაურთა გულწრფელი სურვილი საფრანგეთთან მორიგებისა. მეორეს მხრივ — დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო გავლენა ამჟამად ისეთია, რომ მისი თანხმობის გარეშე გერმანიის პოლიტიკა საერთაშორისო ასპარეზზე დაკმაყოფილებას ვერ მიაღწევს. ამიტომ გერმანული დიპლომატია ცდილობს თავის მოქმედებას ინგლისის ინტერესებისათვის მისაღები მიმართულება შეურჩიოს. ამ ორი მომენტით შეზღუდულ გერმანულ პოლიტიკას სამოქმედო ასპარეზი უმცირდება და ამჟამად მთელი ყურადღება მიმართული აქვს ისეთი პირობების დამყარებაზე, რომ თავისი ეროვნული საჭიროების დაკმაყოფილება შეიძლოს რუსეთის ხარჯზე. ამ საკითხში გერმანიის პოლიტიკას უმთავრესად საფრანგეთი ეწინააღმდეგება. ინგლისი ზოგიერთი დაპირებებისა და განსაზღვრების შემდეგ ხელს არ შეუშლიდა გერმანიის ექსპანსიას აღმოსავლეთისაკენ, მაგრამ მისი კავშირი საფრანგეთთან და ამ უკანასკნელის პაქტი საბჭოებთან მასაც გერმანიის მოპირდაპირე ბანაკში აქცევს.

იტალიისა და გერმანიის პოლიტიკის სოლიდარობას დღემდე ცენტრალური ევროპის საკითხი აბრკოლებდა, მაგრამ ავსტრიის საკითხში მიღწეული შეთანხმება და ბოლო დროს მომხდარი ამბები ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას არსებითად სცვლიან. არსებული რეჟიმების იდეური ნათესაობა და პოლიტიკური მიზნების იდენტურობა ამ ქვეყნებს უთუოდ მიიყვანს პრაქტიკული პოლიტიკის საკითხებშიც შეთანხმებამდე. კერძოდ, რუსეთის საკითხში გერმანიის პოლიტიკა იტალიის ოპოზიციას დღემდეც არ იწვევდა; მაგრამ ვიდრე გერმანიის ზურგიდან საფრთხე არ აუცდენია, რაიმე გადაწყვეტ ნაბიჯს არ უნდა ველოდეთ. გერმანია - იაპონიის ანტიკომუნისტური

კავშირის მიზანია, რუსეთის საკითხი გადაიჭრას მიუხედავად ზურგიდან საფრთხის არსებობისა, მაგრამ ჩვენ არა ვფიქრობთ, რომ ამ ცდამ ახლო მომავალში პოზიტიური შედეგები გამოიღოს. ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ დიპლომატიურ მომზადებას საჭიროებს.

მესამე ძალა საბჭოთა რუსეთია. მართალია, საერთაშორისო სისწორზე დღევანდელ პირობებში თვით რუსეთს დიდი წონა არა აქვს — განსაკუთრებით სტალინის დიქტატურის განსამტკიცებლად მოწყობილი პერმანენტული დახვერტების შემდეგ, მაგრამ ამ ძალის სიძლიერე თვით საბჭოთა რეჟიმის სიმტკიცით არასოდეს არ იზომებოდა. საბჭოთა რუსეთის სიძლიერე კომინტერნი იყო, რომელმაც კორეიდან მოყოლებული ბრიტანეთის კუნძულებამდე და სამხრეთ ამერიკამდე გააბა თავისი ჯაშუშების ფანტასტიური ქსელი. ამ საერთაშორისო შპიონაჟის მოსაწყობად მოსკოვმა ათეული მილიონები დახარჯა. დაიმორჩილა კაპიტალისტური რეჟიმით უკმაყოფილო ელემენტების ერთი ნაწილი და მთელ რიგ ქვეყნებში რუსეთის დირექტივებით მუშაობენ არა მარტო კომ-პარტიები, არამედ მრავალი გარეგნულად აპოლიტიკური ორგანოებიც. რუსეთი ჩაერია მთელი ქვეყნიერების საქმეებში, გაიჩინა მოკავშირეები და დამცველები. შეისყიდა მთელი რიგი მოღვაწეებისა, რომლებიც მფარველობენ არა მარტო პრესაში და პარლამენტებში, არამედ საჭირო საიდუმლო ცნობებსაც აწვდიან. მოსკოვი ყველგან აფათურებს ხელებს. მაგრამ თანდათან ყველა ეცნობა კომინტერნის რაობას და დღეს ყოველი კუთხიდან ერეკებიან. სამოქალაქო ომი ისპანეთში და იაპონიის სამხედრო ექსპედიცია ჩინეთიდან ბოლშევიზმის გასაძეველად — კომინტერნის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის მაჩვენებელია. თვით საბჭოთა რეჟიმის სიმტკიცეზე ლაპარაკიც ზედმეტია. კომუნისმის სამფლობელო უდავოდ დიდ შინაგან კრიზისს განიცდის. ბოლშევიკური პარტიის გუშინდელი კოლოსები ფაშისტების დაქირავებული ჯაშუშები აღმოჩნდნენ. კომუნისმის ლიდერებთან ერთად ჯაშუშობისათვის თავებსა სჭირან წითელი ჯარის სარდლობასაც. ჯალათები ერთმანეთს დაერივნენ, მაგრამ პროცესი მხოლოდ დაწყების სტადიაშია და ვერავინ იტყვის, რით გათავდება. განაპირა ქვეყნებში დღითი დღე იზრდება ელიტოროსების სიძულვილი. მოსკოვს უძნელდება დაპყრობილი ქვეყნების ფლობა. უკრაინასა და საქართველოში რუსეთიდან ჩამოშორების მზადება თვით სოფნარკომის თავმჯდომარეებს დაუწყიათ. ანგარიშ-გასაწევია განგსტერული დაუზოგველობით გაძვალტყავებული რუსის ხალხის უკმაყოფი-





ლებაც. ასეთ პირობებში მოსკოვის წითელი არმიის უნარიანობა მეტად საეჭვოდ მოსჩანს. ამ ჯარის ნდობა, ხომ საბჭოთა მეთაურობასაც არა აქვს. ამას ადასტურებს შერჩეული სარდლების დასწრება და პატიმრების გარდა, მეორე ფაქტიც: მთელ მსოფლიოში რუსეთი ერთად - ერთი ქვეყანაა, სადაც სამხედრო საწყობები და ტყვია - წამალი პოლიციას აბარია და არა სამხედრო უწყებას. რუსეთის სამხედრო ძალის სისუსტეს ამჟღავნებს ისპანეთის ბრძოლებიც, სადაც დაპირისპირებულია რუსული ტანკი, შაერთლანი და არტილერია ევროპიულ ტენიკას. აქ არ ყოფილა შემთხვევა, რომ რუსულ სამხედრო ძალას რაიმე ბრძოლა მოეგოს, მიუხედავად რიცხვითი უპირატესობისა.

ასეთია დღევანდელი საერთაშორისო ურთიერთობის სამი მთავარი ძალის ფაქტიური მდგომარეობა. მათი ინტერესების ურთიერთობა გადასწყვეტს არა მარტო ევროპის, არამედ საქართველოს ბედსაც.

ევროპიული კულტურის დაცვის თვალსაზრისით ყველაზე გონივრული იქნებოდა ინგლის - საფრანგეთის ბლოკი გერმანიის შეუთანხმდეს მსოფლიოში წესიერების დასამყარებლად. ამით ერთბაშად გადაწყდებოდა ორი საკითხი: ქვეყნიერების გამხრწნელი კომუნისმი მოისპობოდა და დასავლეთის ცივილიზაციის ბატონობა კიდევ რამდენიმე საუკუნით უდავო იქნებოდა.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მოწმენი ვართ ევროპის ახალი დარაზმულობის დასაწყისისა.



## საქართველოს საზღვრები

ქართველი ემიგრაცია საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქართველობის ერთი ნაწილია. მაგრამ სამშობლო მიწა - წყალსა და მშობლიურ ეროვნულ ატმოსფერას მოწყვეტილმა, არსებობისა და მუშაობის უჩვეულო პირობებში მოქცეულმა ქართველობამ — უნდა გამოვტყდეთ — სრულად ვერ შევიინახეთ ქართველი ერის მაღალი მორალური ღირსებები და ეროვნული ბრძოლის ტრადიციები. ბრძოლის პროცესში შექმნილი, სისხლით შეღებული ეროვნული ერთობა უცხოეთში პარტიულ, ჯგუფურ და პიროვნულ კინკლაობამდე დავიყვანეთ და ბრძოლის ისპარეზზე დარჩენილ ქართველობას ბევრჯერ მორალური და მატერია-

ლური ზარალიც მივაყენეთ. მარადიულსა და უზენაეს ეროვნულ ინტერესებს ხშირად პირადი სარგებლიანობის საზომით მიუდევით და ეროვნული დამოუკიდებლობისა და ბრძოლის ბევრი ძირითადი საკითხები — საუკუნეების გასწორე ეროვნული პოლიტიკისათვის მუდამ უდავოდ მიჩნეული — დღეს სადავოდ გადავაქციეთ.

ჩვენ ვერ შევსძელით ეროვნული ბრძოლის მორალის შენახვა. იფერფლება ამ ბრძოლის მამოძრავებელი იდეალიზმიც და ზოგიერთ სულით გატეხილ ქართველ მებრძოლებს გასასყიდათ ბაზარზე გააქვთ თავიანთი ცოდნა და კალამი. სულ ერთია ვინ გამოჩნდება მუშტარი — ჩინელი, ლეკი, თათარი, ანარქისტი თუ მარქსისტი — ჩვენი კალმოსნები პატრონის საამებლად თავიანთ პატიოსან წარსულზეც ხელს იღებენ და გასამრჯელოს მისაღებად საქართველოს წინააღმდეგ უპატიოსნო ლაშქრობაშიც ერევიან. ასეთია სამწუხარო ემიგრანტული სინამდვილე და ამ სინამდვილის უკანასკნელი ანარქულია ჟურნალი „კავკაზი“.

ეს ორგანო რამდენიმე წელიწადია არსებობს. მის გამოსვლას ჩვენ თანაგრძობით შევზღვიეთ, რადგან ჟურნალი კავკასიის კონფედერაციის იდეის მჭიდაგებლად გამოდიოდა. მაგრამ ჩქარა გამოირკვა, რომ ჟურნალის ხელმძღვანელს ჰაიდარ ბამატს კავკასიის ერთა თანამშრომლობა და კონფედერაცია ცუდათ ესმოდა: ბოლო დროს ჟურნალი „კავკაზი“ ისეთ საკითხებს შეეხო, რომ იძულებული იყო კავკასიის პოლიტიკის ძირითადი საკითხების მიმართ საკუთარი პოზიცია აშკარად ჩამოეყალიბებინა. აქ გამოირკვა ბევრი რამ ისეთი, რასაც ჩვენ დიდი ხნიდან ვგრძობდით, მაგრამ საბუთების სიმცირის გამო ვერაფერი გვეთქვა. ბამატმა ჩადრი აიხადა და მისი ნამდვილი სახის დანახვამ მთელ ქართველობაში სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. ვერ ვიტყვი, რომ ამ სანახობამ ჩვენც გაგვაოცა — ბამატის თავდასხმა საქართველოზე მისივე ტრადიციების გაგრძელებაა. მხოლოდ გასაკვირი და მოულოდნელი ამ ლაშქრობაში ქართველების მონაწილეობაა. ბ-ნ ბამატს გვერდს უმშვენებენ ბ. ზურაბ ავალოვი და შალვა ამირეჯიბი.

რას ითხოვს ბატონი ბამატი, რა სურს მას? ვალაპარაკოთ თვითონვე:

„... ჩვენი აზრით კავკასიელებმა გულწრფელად და უდავოდ უნდა მიიღონ ოსმალეთთან და ირანთან არსებული საზღვრები. ჩვენ, მართლაც ვსთვლით არა მარტო ზედმეტად, არამედ მანენდაც ყოველგვარ დავას ყარსზე, არდაგანზე, ართვინზე და ირანის აზერბეიჯანზე...“. აქედან ბ. ბამატი დაასკვნის —

.... „ბირველი: არავითარი ტერიტორიალური უთანხმოებანი არც ოსმალეთთან, არც ირანთან. ჩვენ საბოლოოდ და გადაჭრით ვაღიარებთ 1921 წლის ყარსის ხელშეკრულებით კავკასიისათვის დადგენილ საზღვრებს.

„მეორე: ჩვენ სრულიად კატეგორიულად უარვყოფთ ყველა იმ აკტებს და გამოსვლებს, რომელთაც შეეძლოთ ან კიდევ შეუძლიათ აფიქრებინონ ჩვენს მეზობლებს, რომ ჩვენ გვაქვს ახილილი ან ფარული ზრახვები მათ მიერ ამჟამად დაკავებული ტერიტორიების მიმართ“...

ამრიგად, ბატონმა ბამატმა ყველა ეს ქართული საკითხები ერთბაშად მიაღაგა და თან მოგვიწოდებს — ოსმალეთს მეგობრობა დავუმტკიცოთ, ქართული მიწა-წყალი მის საკუთრებად ვაღიაროთ. ბუნებრივი იქნება ვიკითხოთ, ვინ არის ბამატი? აქვს თუ არა მას დავალება ოსმალეთიდან, საქართველოს ასეთი მოთხოვნილება წაუყენოს? ბ. ბამატი სცდილობს თავისი თავი ოსმალეთის პორტ-პაროლად გამოიყენოს, მაგრამ ჩვენ ვეჭვობთ, რადგან ვიცნობთ დღევანდელი ოსმალეთის გონიერსა და წინდახედულ მეთაურობას.

მეორე მხრივ: რა უფლება აქვს ბ. ბამატს ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საკითხებში ჩაერიოს და საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გადამმიჯნებად გამოვიდეს? ვინ მისცა მას უფლება საქართველოს სახელით ილაპარაკოს?

დაეუშვათ, რომ ოსმალეთს მართლაც დასჭირდა მოსაზღვრე საქართველოსთან ზოგიერთი საკითხების წინასწარ გარკვევა. განა ეს უფლებას ანიჭებს ვიღაც ბამატს ქართული ტერიტორია თავის სურვილისამებრ აწესრიგოს? ნუთუ საქართველო — ქვეყანა, რომელსაც სამი ათასი წლის სახელმწიფოებრივობის ისტორია აქვს, ისე დაცვა და დაძაბუნდა, რომ ჩვენი სასიცოცხლო, ეროვნული არსებობის ძირითად საკითხების გადამწყვეტად ვიღაც კუმუიკი გამოვიდეს?

ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ საქართველოს თავის ისტორიულ-გეოგრაფიულ მეზობლებთან კეთილ-განწყობილი ურთიერთობა უჯობს. ეს ძველი ჭეშმარიტებაა და კარგად ესმოდათ ქართული პოლიტიკის მეთაურებს მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე. ამით აიხსნება, რომ საქართველოს თავისი ძლიერების ხანაშიაც მეზობლებისათვის არასოდეს წაუგლეჯია არც ერთი ნაჭერი მიწა. ჩვენ მეზობლებს არ ახსოვთ აწიოკება და დარბევა ქართველთაგან; კერძოდ, ოსმალეთი ვერ მოიგონებს ვერც ერთ შემთხვევას, რომ საქართველო მის საკუთრებას შეჰხებოდეს. სინიღისის წინაშე ამას ვერ გვეტყვის ვერც ერთი ჩვენი მეზობელი — ძლიერი თუ სუსტი.

მაგრამ საქართველოს მეზობლებთან ურთიერთობის საკითხი ქართული პოლიტიკის საგანია და მისი გადაჭრაც ქართველების საქმეა, ამიტომ ყველა მეტიხარა არა-მკითხეს, საქართველოს ხარჯზე პოლიტიკური კაპიტალის შეძენას რომ ფიქრობს, სამართლიანი იქნება თავისი ადგილი ვუჩვენოთ, რომ მომავალში ჩვენს საქმეებში ცხვირი არ ჩაჰყოს.

რაც შეეხება 1921 წლის ბოლშევიკების მიერ დადებულ ყარსის ხელშეკრულებას, ბ-ნ ბამატს უნდა მოვასხენოთ გარკვევით, რომ ქართველი ერი არა სცნობს რუსეთის მიერ ჩვენს ქვეყანაში ძალით და მყარებული, საოკუპაციო ხელისუფლების არც ერთ აქტს და არც ერთ ხელშეკრულებას, მათ შორის არც ყარსისას. ჩვენ ვსთვლით, რომ რუს ბოლშევიკებს იმდენივე უფლება ჰქონდათ საქართველოს სახელით ელაპარაკათ, რამდენიც ამჟამად ჰ. ბამატს; რომ საქართველოს საზღვრების გასაყვანად და მეზობლებთან რაიმე შეთანხმების მისაღწევად ერთად - ერთი უფლება მოსილი ორგანო იქნება მომავალი საქართველოს ეროვნული მთავრობა. კერძოდ სამხრეთის საზღვრების გაყვანა და ამასთან დაკავშირებული ყველა საკითხების მოგვარებაც დაევალება ამავე მთავრობას.

ბ-ნი ბამატი არ კმაყოფილდება ამ საკითხების გადაჭრით. საქართველოსთან სხვა ანგარიშებიც ჰქონია. ის ვერ ურიგდება, რომ ბათუმი ქართული ქალაქია. მისი გაგებით, ბათუმი ერთობ კავკასიის კუთვნილება ყოფილა და არა საქართველოსი. მაგრამ ეს დებულება მხოლოდ შესავალია მთავარი აზრის სათქმელად. ბათუმი კავკასიის საერთო კუთვნილებად იმიტომ აქცია, რომ თითონაც წილი დაიდოს — ეს კი უფლებას ანიჭებს ამ ქალაქის ბედის გადაჭრაში მონაწილეობა მიიღოს. ასეთი გზით ბათუმის მესაკუთრეთ ქცეული ბ-ნი ბამატი ბრძანებს:

„ბათუმი, ჩვენის წარმოდგენით, არა იმდენად ნაჭერია ქართული ტერიტორიისა, რამდენადაც უმთავრესი პორტი საერთო კავკასიური მნიშვნელობისა, ბათუმი, რომელიც გამოსავალია ბაქოს ნავთისათვის, ადერბეიჯანისათვის არა ნაკლებ სანტერესოა, ვიდრე საქართველოსათვის. ბათუმი ერთად ერთი პორტია კავკასიის მთელი სომხური ჰინტერლანდისა... მაგრამ მივიყვანოთ ჩვენი აზრი აქაც ლოლიკურ ბოლომდე და ვაღიაროთ, რომ ბათუმს აკრავს ვრცელი რაიონები ყარსისა და არდაგან - ართვინისა — და მომავალ ეროვნულ კავკასიას უთუოდ დასჭირდება, ოსმალეთთან გამოჩანხოს ისეთი მოდუს ვივენდი, რომელიც მისცემს ამ რაიონებს სავაჭრო გზას დიდი კავკასიური პორტისაკენ“ —ო.

ჩვენის აზრით, ბამატის მთელი სული და გული ამ უკანასკნელ დებულებაშია და ბათუმის კავკასიურობაც ამის სათქმელად დასჭირდა. ჯერ ძველთა - ძველი ქართული მიწა - წყალი წაიღო და ქართველთა დაუკითხავად გაასაჩუქრა; ეხლა ბათუმსაც ეწვია, რადგან მის მიერ გატაცებულ ყარსისა და არდაგან - ართვინის ვრცელ რაიონებს თურმე ზღვაზე გასასვლელი გზა და პორტი სჭირდებათ! ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბ-ნი ბამატი მიუხედავად დაპირებისა, თავის აზრს „ლოლიკურ დასრულებას“ არ აძლევს. მისი სტატიის ბუნება, ყოველი დებულების არსი და სული აშკარად ამბობს, რომ ყარს - არდაგან - ართვინთან ერთად ბ-ნი ბამატს ურჩევნია ბათუმიც ოსმალეთს გადასცეს, მაგრამ ახდლიად ვერ ამბობს, შუა გზაზე ჩერდება და მიუღდომელი არბიტრის პოზიით, ფარისევლურად „მოღუს ვივენდის“ დაექებს.

თავის სტატიას ბ-ნი ბამატი მუქარით ათავებს. ის ოგონებს თავისი თანამშრომელის დარიალის წერილის შინაარსს და ამბობს:

„არც ქართველებს, არც სომხებს იმედი არ უნდა ჰქონდეთ, რომ „მთიელნი და ადერბეიჯანელები დაიცავენ მათ მოთხოვნილებებს იმ ტერიტორიებზე, რომლებიც კავკასიის დღევანდელი საზღვრების გარედ არიან. მაგრამ ვეჭვობთ, რომ საღად მოაზროვნე ქართველებსა და სომხებს ამ მხრივ რაიმე ილუზიები ჰქონდეთ“—ო.

ასეთი გულახდილობისათვის ბ-ნი ბამატს მადლობა ეკუთვნის. ცოდვით ნუ ჩაგვეთვლება და ჩვენც გულახდილად ვიტყვი, რომ ბამატის იმედით არასოდეს ვყოფილვართ. ძველი ქართული ანდაზა ამბობს: „არ გამოდგეს ყვავი ქორად, არც უგვარო გვარის სწორად“—ო. ძნელი საფიქრებელია, რომ ვინმე საღად მოაზროვნე ქართველს ამ მხრივ რაიმე ილუზიები ჰქონოდა. მაგრამ უბრალო ეთიკა და რიგიანობა მოითხოვს სხვისი საკუთრების მიმართ თავდაპირველი იყო. ამისი ცოდნა ბამატსაც მოეთხოვება. ეტყობა საყოველთაოდ მიღებული ნორმები და წესები ბ. ბამატისათვის არაფრის მთქმელია. ის თავზე დურად ეჩრება ჩვენს ეროვნულ საქმეებში და ქართველთა დაუკითხავად საქართველოს ქონებას აწესრიგებს. ჩვენი სახელით თამასტუქს იძლევა! საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ კავკასიის დღევანდელი საზღვრების კანონიერად აღიარება, სტაკუს-ქვოს მიღება ნიშნავს არა მარტო განსაზღვრულ კავკასიურ ტერიტორიაზე უპირობოდ ხელის აღებას, არამედ თვით კავკასიაშიც მრავალ ადგილას უმართებულად გადაჩეხილ საზღვრების დადასტურებასაც. მაგალითად: საქართველოს ერთი ულამაზესი კუთხე — ზაქათალის ოლქი ანუ საინგილოს უდიდესი ნაწილი ბოლშევიკებმა ადერბეიჯანს მიუთალეს,



ხოლო სამხრეთით, ცნობილი ალავერდის სპილენძის მალაროებიც საქართველოს გარედ მოექცა. იგივე სურათია დასავლეთით. ბ-ნი ბამატი გვიჩვენებს ამ ფაქტიურ მდგომარეობას შეფუთავდეთ. ის ივიწყებს, რომ ჩვენი საზღვრების დღევანდელი მოხაზულობა შედეგია ქვეყნის ავაზაკურად დაკავებისა, სამხედრო ოკუპაციისა.

საერთაშორისო ურთიერთობაში საქართველო ცნობილი იყო იურიდიულად სუვერენულ სახელმწიფოდ განსაზღვრულ ტერიტორიაზე, სხვა ქვეყნებთან ერთად ოსმალეთის მიერაც. ამ ცნობის აქტიდან განსაზღვრული ფორმალური ვალდებულებანი გამომდინარეობენ ორივე მხარისათვის — საქართველოსათვის და იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც საქართველო იცვენეს. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ქვეყნის არა - კანონიერი ხელისუფლების აკტებს იურიდიული ღირებულება არა აქვთ. იმედი გვაქვს ბ-ნი ბამატიც დაგვიდასტურებს, რომ საქართველოს საბჭოთა რეჟიმი თავის კანონიერ ხელისუფლებად არასოდეს ჩაუთვლია, ამიტომ რუსის ხიზტით დამყარებულ ოკუპაციის მოხსნასთან ერთად, ფორმალურად გაუქმებულად ჩაითვლება ამ პერიოდში რუსების მიერ საქართველოს სახელით დადებული ხელშეკრულებანიც. საქართველოს საზღვრებზე ჯიჩითი და ჩვენი ქონებით ვაჭრობა არც ისე ადვილია, როგორც ბამატსა ჰგონია!

ბ-ნი ბამატი თავის ჟურნალს კონფედერატიულ ორგანოსაც უწოდებს. მაგრამ კონფედერაციაში პირველობასა და კავკასიის ერთა მეთაურობას, როგორც სჩანს, თვითონ აპირებს. ამ არანორმალური ვაბლენძისა და ავადმყოფური პრეტენზიების შედეგი უნდა იყოს, რომ სამი წლის მანძილზე „კონფედერატიულ ორგანოში“ შ. ამირეჯიბსა და ზ. ავალოვს ერთი მეთაურიც არ დააწერინა. კიდევ მეტი: ქართულად გამოცემულ ჟურნალშიც მეთაურების დამწერად ბამატი მოგვევლინა. მეორეხარისხოვანი, მაგრამ დამახასიათებელი ფაქტებია. აღსანიშნავია, რომ ასევე უდიერად ეპყრობა ბამატის „კონფედერატიული ორგანო“ კავკასიის მეორე სახელმწიფო — სომხეთსაც. ჩვენ ვიცით, და ვერც ერთი კავკასიელი მოღვაწე ვერ უშულებელ ჰყოფს იმ ფაქტს, რომ ყარსის ზავმა სომხეთი საკმაოდ დაასახინრა. ამიტომ ძნელი არ არის გამოცნობა თუ როგორ შეხედება სომხობა ბამატის პროექტს. მაშასადამე, კავკასიის „კონფედერატიული ორგანო“ ერთბაშად დაუპირისპირდა კავკასიის ორ უმთავრეს სახელმწიფოს. ერთის შეხედვით, ბამატის ასეთი საქციელი უტაქტობასა და უჭკუობას ჰგავს, მაგრამ თუ საკითხს დავუკვირდებით, ამ ახსნას ვეღარ მივიღებთ.



ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბ-ნი ბამატის მიერ ეს ნაბიჯი შეგნებულად არის გადადგმული. ბამატი იცნობს ქართველებსა და სომხებს, ამიტომ კარგად იცოდა, რომ ჩვენს პირობებში საზღვრების საკითხის ასე უხეშად დაყენება მხოლოდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მიუხედავად ეროვნული ტიპიკლების ხელოვნურად გაღიზიანებას მიზნად უნდა ჰქონდეს სომხეთ-საქართველოსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობის გამწვავება და რუსეთთან უკვე იარაღით დაპირისპირებული ქვეყნების ზურგში ოსმალეთის ამხედრებაც. ეს ბამატისათვის სარფია პიროვნული და ეროვნული მოსაზრებითაც.

ბ-ნი ბამატი თავის საქმეს აკეთებს, თავის ქვეყანას ემსახურება, მაგრამ ვის საქმეს აკეთებენ და ვის ინტერესებს ემსახურებიან შ. ამირეჯიბი და ზ. ავალოვი? ემიგრაციაში ბევრი რამ მოხდა სამწუთიანოდ მოსაგონი, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, ყველა მიმართულებასა და ყველა ჯგუფს თავის უმაღლეს და ძირითად მოვალეობად მიაჩნდა საქართველოს ეროვნული და ტერიტორიალური მთლიანობის დაცვა. ეს არ იყო სადავო საკითხი არც ერთი ქართველისათვის. ეს იყო უწყობილო დირებულება, ქართული ნაციონალიზმის საფუძველი და ეროვნული ემიგრაციის რეზონ-დ-ეტრიც. ამირეჯიბ - ავალოვმა სწორედ ამ ურყევ ნიადაგს შეუტყის და მტრებისათვის შეუვალ სიმაგრეს შეიგნინა და ღრწინა. საქართველოს ისტორიას ახსოვს მაგალითები, როცა პირადი ანგარიშებით გონება დახშული, ამბიციებით გაბოროტებული ფეოდალები სპარსეთსა ან ოსმალეთს საქართველოს ნაწილს უთმობდნენ თავისი პრეტენზიების გასანაღდებლად. მაგრამ ეს საშიშარი ძველი სენი ძველმა დრომ წაიღო და ქართული მიწა - წყლით მოვაკრე თავადებს საქართველოს ისტორიამ მოლაღატის დალი დააკრა. ბ-ნ შ. ამირეჯიბს ისტორიის ასეთი განაჩენი არ აფიქრებს და ჩვენს დროში ამ თავადების ტრადიციას აცოცხლებს. მაშინ, როდესაც ქართულ ტერიტორიაზე პრეტენზიებისათვის მოსკოვის ერთგული ჯალათი ბერია სომხების მეთაურობას აპატიმრებს — ნაციონალისტი ამირეჯიბი, ბამატის კარნახით, ქართული მიწა - წყლის ერთ მეხუთედზე გულდამწვინებით ხელს იღებს. იგივე ბერია აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ლაკობას აპატიმრებს: „აფხაზეთში ქართულ გავლენას აბრკოლებდა“, ხოლო ემიგრაციაში ზ. ავალოვი ნეტარხსენებული ვოსტოროვის აღმოჩენას „მეცნიერულად“ ასაბუთებს და მეგრელებსაც ქართველობას ართმევს.

ჩვენთვის გასაგებია ბამატის გამოსვლა, გასაგებია ელექ - ხოტის მიერ ქართველი მეფეების უდიერად ხსენებაც; მაგრამ გაუგებარი

და უმაგალითო — ბ. ამირეჯიბის მოქმედებაა: ჯერ მონარქისტი და ნ. ქორდანის ერთგული მეხოტბე - მადიდებელი, მერე ყველა ემიგრანტულ დაჯგუფებისაკენ შეუჩერებლივ მოსიარულე და უთავბოლო წაჯექ - უკუჯექობის შემდეგ, ბამატის იანიჩარი!

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბ-ნი ამირეჯიბი თვითონვე ამჩნევს თვალ უწვდენელ განსხვავებას ქართველ მოღვაწესა და ბამატის ხელ - ქვეით მოხელის შორის. „კავკაზის“ ამირ - ეღებივს საერთო არაფერი აქვს ქართველ პატრიოტთან. ქართველი შ. ამირეჯიბი საქართველოს ელს ჩაბარდა და ბ. ბამატის „კავკაზი“ ამ წარსულს ებრძვის.

ალ. ცომაია

## ორი შაკტორი

დიდათ გასაკვირი არ არის ის მოვლენა, რომ მსოფლიო დღეს თავის ისტორიაში ერთ - ერთ უდიდეს კრიზისთაგანს განიცდის. გასაკვირი შეიძლება მხოლოდ ის იყოს, რომ ამ კრიზისის ფორმები თანამედროვე ცივილიზაციის ეპოქაში მეტის - მეტ მახინჯ და წარმოუდგენელ სახეებსღებულობენ.

ადამიანის ენერჯიას გასული საუკუნის დასაწყისიდან უდიდესი გასაქანი მიეცა. სოციალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრების განვითარებამ ძირ - ფესვიანად შეარყია ძველი ყოფა - ცხოვრების საფუძვლები. თვით ბუნების მეტყველების მეცნიერებათა პროგრესმაც ტენზიკასა და კომერციასთან ერთად დაკავშირებით, განათლებულ კაცობრიობის საზოგადოებრივ სტრუქტურაზე წმინდა რევოლუციონური გავლენა იქონია. მას შემდეგ, რაც ადამიანმა მანძილი დაიპყრო, ზღვათა და ოკეანეთ ერთი მეორეზე დაშორებულ ქვეყნებს სწრაფად დაკავშირების საშუალება მიეცათ. რკინის გზის ქსელთა განვითარებამ, ზღვაზედ მიმოსვლამ, ავიაციამ, ტელეგრაფმა, და რადიომ ზელი შეუწყო მრეწველობისა და სავაჭრო დამოკიდებულებათა განვითარებას ევროპასა, აზიასა და ამერიკაში. ცალ - ცალკე ეროვნული ერთეულები, რომლებიც ჩაბმულნი იყვნენ ამ სავაჭრო ოპერაციებში, თავის საქონლის გასასაღებლად, იძულებულნი იყვნენ ახალ - ახალი ბაზრები და ახალი ქვეყნის მხარეები ეძებნათ ნედლი მასალის მოსაპოვებლად. წარმოებისა და მრეწველობის ასეთი გიგანტიური ნაბიჯით განვითარება და ტენზიკის არა ჩვეულებ-

რივად წინსვლა, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებდა წარმოებისა და განაწილების მექანიკურ პროცესთა უბრალოდ ქაღალდზე აღნიშვნით. ისე, როგორც ფიზიკურ მოვლენათა სფეროში, რაოდენობა ხარისხად იქცევა, აგრეთვე ყოველგვარი საზოგადოებრივი მოვლენა საზოგადოების შინაგან სტრუქტურასა და ადამიანის ყოფა-ცხოვრების ძირითად ფსიქოლოგიაში მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს. თანამედროვე ფილოსოფიაც თავის განხრებით; როგორც ფილოსოფიური სკეპტიციზმი, ბიოლოგიური და ეკონომიური მატერიალიზმი, ანტი - რელიგიური რადიკალიზმი, იდეალისტური ანარქიზმი, ყველა თავისი უკიდურესობებით, თავისუფალ აზროვნებითა და პოზიტივიზმით, ყველა ეს ერთად მიზეზებია და ამავე დროს შედეგაც იმ ძირითად ცვლილებებისა, რომელსაც უკანასკნელ ათეულ წლების განმავლობაში მსოფლიო განიცდის.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა მოკლებულია მყარებადობას. მისი სოციალ - პოლიტიკური საფუძველი ძირ - ფესვიანად შერყეულია, როგორც — გუშინდელი რწმენა და იდეალები. ხელისუფლება უპიროვნო და უავტორიტეტოა. თანამედროვე ცივილიზაციის საფუძვლებიც საკმაოდ დაზიანებულია; ის სრულიად მოულოდნელი მოვლენები, რომლებიც წარსულში დატრიალდენ, საფუძვლად ედებინ ახალ, შეიძლება კიდევ უფრო საშინელ მოვლენებს. როგორც სოციალური ორგანიზაციის დეზორგანიზაცია, აგრეთვე სოციალური დეზორგანიზაციის ორგანიზაცია დღეს ისე მიმდინარეობს, როგორც ნორმალური მოვლენა.

ძველი რწმენა და ტრადიცია სოციალური ცხოვრების არენაზე სავსებით შეირყა; იმ რწმენას, რომ ეროვნულ ძლიერების ერთ - ერთ უძლიერეს წყაროს შრომა წარმოადგენდა, დღეს პრაქტიკაში თითქმის თვით „შრომა“ უარპყოფს. ხალხი უკვებობით და ყოველდღიურ აუცილებელ საჭიროებათა დაუკმაყოფილებლობით ფიზიკურად მოქანცულია. ამ ნიადაგზე ის სულიერადაც იქანცება. მოკლედ, რომ ვსთქვათ, დღეს კაცობრიობის ერთი ნაწილი სულიერად და ფიზიკურად დაავადებულია. ამ დაავადებულ ორგანიზმს ადვილად ეკიდება სხვა და სხვა ავადმყოფობანი: კომუნიზმი, ანარქიზმი და სხვა მრავალი „იზმები“ კიდევ ჩასახვა და განვითარებაშია.

სოციალურ ყოფა - ცხოვრების გაუმჯობესება ყოველად შეუძლებელია ერთ დღესა და ერთ თვეში. ამისთვის საჭიროა საკმაოდ დრო დრო კი მოითხოვს მოთმინებას. მოთმინება კი მთელ რიგ სახელმწიფოებში მასსამ დაპყარვა, რაც ძლიერ აფერხებს სოციალურ ევოლუციის განვითარებას.



წარმოების განვითარების ნიადაგზე ორი საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტორი აღმოცენდა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია კაცობრიობის ცხოვრების სოციალურ ცვლილებებზე. ერთის მხრივ ინტერნაციონალური კაპიტალი და მეორეს მხრივ ინტერნაციონალური მუშათა მოძრაობა.

თანამედროვე ეკონომიურ კონიუნქტურის დროს, მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო და სამრეწველო მოთხოვნილებათ საზღვარი არ უჩანთ, მწარმოებლისა და ვაჭრის ფინანსიური საშუალებანი მაინც განსაზღვრულია. მას სჭირდება ფული. ფული კი უამრავ რაოდენობითა დაგროვილი. ესაა კაპიტალი. ისიც თავის მხრივ ბაზარსა და მომთხოვნილებელს ეძებს. ეძებს მიტომ, რომ სურს თავის ბუნებრივი თვისებები შეინარჩუნოს, ამისათვის საჭიროა ის მუდმივ ბრუნვაში იყოს; ამიტომ ის ეშველება ვაჭარსა და მრეწველს, რითაც ის მას უქმნის კრედიტს და აწვდის კაპიტალს. ამრიგად, თანამედროვე ვაჭრობა — მრეწველობის მთავარ ბაზისად ფართო კრედიტი ხდება. ვაჭრობა — მრეწველობის ნიადაგზე შემოღებულ იქმნა განსაკუთრებული საბანკო სისტემები, ურომლისოდაც, როგორც ერთის, ისე მეორის არსებობა წარმოუდგენელი ხდება და ამიტომ ის რაღაც ერთ ორგანიულ მთელს წარმოადგენს.

დღემდის ფინანსიური სისტემა პროგრესსა და მის მიზნებს ემსახურებოდა, დღეს კი მდგომარეობამ სულ სხვა ხასიათი მიიღო. საბანკო ორგანიზაციებში უამრავ ფულის დაგროვებამ, ინტერნაციონალურ ბანკირთა ჯგუფის წმინდა პოლიტიკურ საქმეებში ჩარევა და დიდი გავლენა გამოიწვია; დღეს საერთოდ აღიარებულია ის ფაქტი, რომ ბანკირთა ორგანიზაციები რეალურ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს და ხშირად უფრო მეტი გავლენა აქვს და უფრო ძლიერია, ვიდრე რომელიმე მთავრობის ოფიციალური დაწესებულება და აპარატი. ამ „უხილავ“ ძალის საშიშროება მის საერთაშორისო არსებაში მდგომარეობს. ოფიციალურ მთავრობათა მოღვაწეობა და მოქმედება იმ არგნით განისაზღვრება, რომელზედაც მისი სუვერენული უფლება ვრცელდება. ეროვნულ საზღვრებს ის იმდენათ სცილდება, რამდენადაც ამას მოითხოვს საერთაშორისო დამოკიდებულებათა ინტერესები. ინტერნაციონალური კაპიტალი კი არავითარ ანგარიშს არ უწევს ეროვნულ საზღვრებს. ის, როგორც უხილავი სხივი ატანს და იქსელდება ყოველ ეროვნულს საზღვრებში. ინტერნაციონალურ ბანკირთა ლევიფანს, ასეთ შეუქმნევლ ორგანიზაციულ თვისებათა წყალობით, თავისი ქვენა, საიდუმლო ფინანსიურ - პოლიტიკური განზრახვა ყოველთვის შეუძლია სისრულეში მოიყვანოს ისე, რომ,



ის შეიძლება, სრულიადაც შეუმჩნეველი დარჩეს ამა თუ იმ ეროვნულ მთავრობათა მიერ. აგრეთვე ისეთ კომბინაციებსაც აქვს ადგილი, რომელიც ყოველგვარ ეტნოგრაფიულ და სახელმწიფოებრივ საზღვრებს გარეშეა. ასეთ თვალთმაქცურ კომბინაციათა მსხვერპლად, ხშირად ერის სასიცოცხლო ინტერესები გამხდარა. ამ შემთხვევაში ყველაზე ადვილად კბილ მოსაკიდებელი პატარა ეროვნებებია, და თუ კი, რომელიმე მათთაგანი მიზანშეწონილი ამოღებულა, ის საერთაშორისო კაპიტალს მსხვერპლად ეწირება.

დღეს მთელ რიგ ეროვნებათა ფინანსური სისტემა ურთიერთდავალაობების — შინაგან და გარეშე სესხს ეყრდნობა. ეს სესხი გამოწვეულია სახელმწიფოებრივ საქიროებათა აუცილებლობით და ის მას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს. ხშირად სახელმწიფო ასეთ სესხისათვის იძულებულია საერთაშორისო ბანკირთა ჯგუფს მიმართოს. ამ ჯგუფს საშუალება აქვს სახელმწიფო მიძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩააგდოს, თუ კი ის მისთვის საჭირო კაპიტალს არ გაიღებს. ამიტომ ხშირად სახელმწიფო იძულებულია მათ ფარულ კომბინაციას ფარულადვე მხარი დაუჭიროს, რომ სათანადო სესხი მიიღოს. ხშირად ასეთ სესხთა პროცენტები უდიდეს თანხას ადგენს, რომელიც ოქროს მდინარეთ მიმდინარეობს საერთაშორისო ბანკირთა ჯიბეში.

იმის მაგივრად, რომ ფული თავის ბუნებრივ დანიშნულებას ემსახუროს — ღირებულებათა ეკვივალენტის და საქონლის გაცვლა - გამოცვლის სფეროში — ის წმინდა აზარტულ და მზაკრულ წამოწყებათა საშუალებად და იარაღად გადაიქცა, რომელიც ყოველგვარ სოციალურ სარგებლობასაა მოკლებული. ექვს გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მრავალ ბოროტ წამოწყებასა და მახინჯიციებს ასულდგმულებდა და ასულდგმულებს ინტერნაციონალური ფინანსები, რომელიც საშინელი იყო და არის თავის შედეგებით. უკანასკნელი საერთაშორისო ომი გერმანიის მიერ არ იყო გამოგონილი. ევროპაში საერთაშორისო კაპიტალის გავლენის ქვეშ, თანდათან ომის ატმოსფერა იქმნებოდა. იმის მაგივრად, რომ თავის უზარმაზარი კაპიტალი და შესაძლებლობა კულტურულ მიზანთათვის გამოეყენებინათ, ისინი ხელს უწყობდნენ ევროპის სახელმწიფოთა უსაზღვრო შეიარაღებას და წინა - განზრახვით ხელს უწყობდნენ ყოველგვარ საშხედრო ავანტიურებს. მეცნიერებისა და ტექნიკის მოწინავე ელემენტები იმაზედ ფიქრობდნენ, რომ, როგორმე ყველაზედ ძლიერი, საშინელი და მოშინამავი გაზი და უდიდესი ზარბაზანი გამოეგონათ, რომ, რაც შეიძლება, უმოკლეს დროში და უგრძეს მანძილზედ

ადამიანთა მაქსიმალური რაოდენობა გაენადგურებინათ. საუკეთესო მწერლები და უნიჭიერესი ჟურნალისტები დაქირავებული იყვნენ სხვა და სხვა ჯგუფის მიერ, რომელნიც ომისათვის გაფაციცებით ამზადებდნენ ევროპის საზოგადოებრივ აზრს. ასე იყო გუშინ. იგივე სურათი იშლება ჩვენს თვალ წინ დღეს; კიდევ უფრო ახდილად და აშკარად. ინტერნაციონალურ კაპიტალს არ სძინავს, ის წარსულ გაკვეთილებზედ გამოცდილი, კიდევ უფრო მაქსიმალურად გამოიყენებს მოახლოვებულ საერთაშორისო სისხლის ღვრას. ასეთი არის ერთი მხრივ, როლი კაცობრიობის დღევანდელ ისტორიაში იმ ერთ დიდ ფაქტორთაგანის — ინტერნაციონალურ კაპიტალის — რომელიც, განსაკუთრებით, უკანასკნელ საუკუნის გარიჟრაჟზედ, უზარმაზარ გარდუევალ მთასავით აღიმართა კაცობრიობის წინაშე. არის აგრეთვე მეორე ფაქტორიც, რომელიც პარალელურად იზრდებოდა და ვაუკაცდებოდა პირველთან, რომელიც დღეს უდიდეს გავლენას ახდენს — ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით — საერთაშორისო მდგომარეობაზედ. სახელდობრ კი საერთაშორისო, ინტერნაციონალური მუშათა მოძრაობა.

მუშათა მოძრაობის ისტორია, ეს არაა უკანასკნელ საუკუნეთა ამბავი. პირველად ის არც ჩარტისტულ მოძრაობიდან დაწყებული და არც მარქსისტულ მოძღვრებიდან. მუშათა მოძრაობა ისევე ძველია, როგორც თვით შრომა. მუშათა უკმაყოფილებას მრავალ ეპოქათა განმავლობაში ჰქონია ადგილი. ხანდახან ისინი, არსებულ სამრეწველო სისტემის წინააღმდეგ უხეშ მოძრაობის სახესღებულობდნენ და ხშირად ნაციონალურ - ეკონომიურ ცხოვრების სფეროში სერიოზული ცვლილებები გამოუწვევია. მაგრამ ეს უფრო კერძო ხასიათის იყო და მას არც საერთო სახელმწიფოებრივ - პოლიტიკური და არც საერთაშორისო ხასიათი ჰქონია. განათლებულ ქვეყნების სოციალურ ცხოვრებაში, შრომის პრობლემა, მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გახდა სოციალურ და პოლიტიკურ მნიშვნელობის ფაქტორად. მას ევროპაში განსაკუთრებით ხელი შეუწყო საფრანგეთის 1848 წლის თებერვლის და კიდევ უფრო ივლისის რევოლუციებმა.

მრეწველობის ზრდამ, ტექნოლოგიის არა ჩვეულებრივმა განვითარებამ, ვეებერთელა კომერციულ წამოწყებათა და ქარხნებში მუშათა მასის დაგროვებამ და ზრდამ, აგრეთვე არა ჩვეულებრივმა სოციალისტურმა პროპაგანდამ, მუშათა მოძრაობის ერთდღევარი თვისებური „დამოუკიდებელი“ ხასიათი მისცა. კარლ მარქსის კომუნ. მანიფესტი პირველად საფრანგეთში თებერვლის რევოლუციის მღე-

ლვარე დღეებში იყო გავრცელებული. ამ დღიდან ის ევროპაში და შემდეგ სხვა ქვეყნებშიც მუშათა საკითხის და უსაქმო ქარაფშუტა „ინტელიგენტა“ სახარებად ვაღიქვამ. კარლ მარქსის ეკონომიურ დოქტრინის ძირითადი პრინციპები რამოდენიმე დოგმატიურ ფორმულებში იყო გამოთქმული. მარქსისისტულ თეორიის ერთ - ერთ ძირითად პუნქტადანია მუშათა კლასის ინტერნაციონალური სოლიდარობა და მისი სხვა დანარჩენ, თანამედროვე საზოგადოების სოციალურ ფენათაგან გამოყოფა, მტრული განწყობილების ჩამოგდება და სისხლის ღვრისა და სამოქალაქო ომის საშუალებით პროლეტართა დიქტატურის დამყარება. აი ასეთ აბსურდამდე მივიდა მარქსი და მარქსამდე კი დღევანდელი მისი მიმდევრები. მარქსისტული თეორიის უბრალო ანალიზი საკმაოდ ამჟღავნებს მის თეორეტიულ დიდ სიყალბე - ცრუპენტელობას და არსებულ ეკონომიურ დამოკიდებულებათა მიმართ მთელ რიგ წინააღმდეგობებს. არასდროს მარქსიზმის არც ერთი დოქტრინათაგანი, არც ერთი ეკონომისტის და ფილოსოფოსის მიერ არ ყოფილა მიღებული და აღიარებული. რატომ? იმიტომ, რომ ის მყარ საფუძველს მოკლებულია და საცხეა წინააღმდეგობათა მთელი რიგით. კაცობრიობის საღ და მოწინავე გონებამ ის უარპყო, რადგან ის არ იყო აგებული ქეშმარიტების პრინციპებზედ. თეორიულად ის კარგა ხანია გამიშვლდა. მაგრამ უდიდესი მარცხი მარქსიზმმა იქ განიცადა, სადაც ის გამარჯვებას ეძებდა და ელოდა ეს, როცა ის სინამდვილეს დაპირდაპირდა და დაეჯახა, მან საკუთარი სასაფლაო კულტურულ, განათლებულ ევროპაში კი არ გაითხარა, არამედ ღირსეულ „ველურ“ რუსეთში. ამ „მწარე“ სინამდვილეს ბევრი დღეს განგებ თვალს არიდებს და კიდევ თავისას გაპკივის, რომ ჯოჯოხეთის იარაღით სამოთხეს აგიშენებთო (აბა, საღ გაგონილა!), იმიტომ კი არა, რომ ეს მათ ჯერათ, არამედ იმიტომ, რომ ასე უნდათ მათ. მიუხედავად იმისა, რომ ჰეროსტრატეს კარგად ესმოდა, რომ საზოგადოების საზიანო საქმეს აკეთებდა, მან მაინც დასწვა უდიდესი ტაძარი, იმიტომ, რომ „ასე უნდოდა მასაც“.

ერთის მხრივ თანამედროვე ეკონომიკის ბუნებრივ განვითარებად შრომისაგან, სოციალურ სტრუქტურის მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლო ელემენტი შექმნა, ხოლო მეორეს მხრივ, ეს ელემენტი თანდათან საშინო ხდება, როდესაც მის სოციალურ ფუნქციას საზოგადოების წინააღმდეგ ხელოვნურად იყენებენ და ინტერნაციონალურ სამშობლოზე აოცნებენ. ყოველი ადამიანი — რადგან ეს მისი ბუნებრივი თვისება და ბუნებაა — თავის ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ მიისწრაფის სულიერად და მატერიალურად; აგრეთვე



ბუნებრივია მუშათა კლასიც თავის კულტურულ და მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ფიქრობდეს და ზრუნავდეს, რაც სრულიად ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენს. ეს არის წმინდა სოციალური საკითხი და არა სოციალისტური და ამ საკითხის სოციალისტურ სიბრტყეზე გადატანა საზიანოა, არა მარტო მუშათა საკითხისათვის, არამედ მთელი საზოგადოება და ერისათვის. თუ კი სოციალისტები მუშათა საკითხს აგრე მაგრად ჩაებლაუქენ, იმიტომ კი არა, რომ მათ მუშის ცუდი სოციალური პირობები აწუხებდათ, არამედ უფრო „დიდი საერთაშორისო საკაცობრიო“ საკითხისათვის უნდოდათ და უნდათ იარაღად გამოიყენონ მუშათა კლასი. ამ უტოპიისათვის მუშას სისხლს აღვრევენებენ და წაგებული და დაზარალებული ბოლოს თვით მუშა გამოდის; როგორც ყოველ სოციალურ წრის, აგრეთვე ისე მუშათა საკითხის მოგვარება საზოგადოების დანარჩენ ფენების ინტერესთა შეთანხმებაზე უნდა ეყარებოდეს. მხოლოდ სოციალურ ნიადაგზე და ეროვნულს ჩარჩოებში და არა სოციალისტურ ნიადაგზე და საერთაშორისო ჩარჩოებში.

რადგან სოციალისტური მოძღვრება ანტი - ეროვნული და ინტერნაციონალურია, ამიტომ მათმა მოძღვრებმა ხელი აიღეს ყოველგვარ ეროვნულ პრინციპებზე და თავის ხსნას ინტერნაციონალში ეძებენ. სწორეთ ისე, როგორც მაღალ და მსხვილ ფინანსურ წრეებმა ეროვნულ პრინციპებზე პრაქტიკულად ხელი აიღეს, აგრეთვე ისე მუშათა მოძრაობამ თავის ჩვეულებრივი ელფერი დაჰკარგა და გადიქვა რაღაც ინტერნაციონალურ მანქანად, რომლის მისწრაფება მსოფლიო სოციალურ რევოლუციისაკენა მიმართული. ამ მხრივ საერთაშორისო კაპიტალი და საერთაშორისო მუშათა მოძრაობა არა მარტო არსებით ორი ფაქტია ეროვნულ ორგანიზმთა ცხოვრებაში, არამედ ის ორი დიდი ძალაა, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს ყოველგვარ საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოკიდებულებათა სფეროში. ამიტომ, რომ ეს ორი უკიდურესი დაჯგუფება, რომლის განვითარება არა ნორმალური გზით მიიმართება, საზოგადოებრივ მყუდროებასა და მის მშვიდობიან ევოლუციას ემუქრებიან.

სოციალურ ნიადაგზე წარმოშობილ უკმაყოფილებებისა და მღელვარების ორი სახეობა არსებობს: ბუნებრივი და ხელოვნური. ბუნებრივი უთანხმოება და მღელვარება ისევე ძველია, როგორც თვით კაცობრიობა. კაცობრიობის ისტორიაში, ამა თუ იმ ეპოქაში მომხდარ შეხლა - შემოხლას და მღელვარებას თავის საკუთარი მიზეზები აქვს. მაგრამ იმ მომენტიდან დაწყებული, რაც, რომ ცივილიზაცია



ჩაისახა და გათავებული დღემდე ყოველგვარ უკმაყოფილებასა და მღელვარების ერთ - ერთ მთავარ მიზეზთაგანი — ვიდრე, რომელიმე სხვა — რომელიც ადამიანთა შორის უკმაყოფილებას ბადებდა, იყო სოციალური უთანასწორობა. სოციალურ უთანასწორობის ნიადაგზე ბრძოლამ, მწვავე ხასიათი, განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრიდან მიიღო. ამ საკითხს ბევრი თავისებურად იყენებდა და ბევრს თავისებურად ესმოდა. განსაკუთრებით კი სოციალისტებს, რომელნიც ამ „უთანასწორობის“ ნიადაგზე ყოველგვარ ჯანყს აღრმავებდნენ, ხელს უწყობდნენ და ხშირად ხელოვნურადაც ჰქმნიდნენ მას. სოციალისტებმა თავისებურ „თანასწორობის“ პრინციპზე მთელი თეორიები ააგეს და ყოველ სფეროში და ყველგან ყველაფერს „ათანასწორებდნენ“. სოციოლოგიაში უთანასწორობა ისეთივე გარდუვალი კანონია, როგორც სიმძიმე ფიზიკაში ანდა მოძრაობა მექანიკაში. უთანასწორობა — არა მარტო ადამიანთა დამოკიდებულების ბუნებრივი გამოსახულებაა, არამედ პროგრესის უდიდესი მამოძრავებელი და სოციალური შემოქმედების დაუსრულებელ მელიორაციის საფუძველი. მაგრამ ეს გარდუვალი ბუნებრივი კანონი, მარქსისტთათვის არ არსებობს. იმათ თითქოს კანონათ და მიზნათ დაისახეს შეუძლებლის შესაძლებლობა და ქეშმარიტების უარყოფა. ისინი არას დროს კმაყოფილი არ არიან იმ ქეშმარიტებით, რომელიც მეცნიერულად დამტკიცებული და ისტორიულად გამართლებულია; მათ მაინც შებრუნებულად უნდა ამტკიცონ და თავისებური მარქსისტული განმარტება უნდა მისცენ. ამიტომ მათ მიერ შთავონებულ მასსას ხშირად ჰგონია, რომ მათი მისწრაფება და იდეალის პრაქტიკულ ცხოვრებაში განხორციელება, შესაძლებელი იყოს, მიუხედავად იმისა, რომ აბსტრაქტულ იდეალსა და მის განხორციელებას შორის უდიდესი ზღვარი დევს.

არც ერთი პოლიტიკური მიმართულება არაა იდეალური, რადგან ის ადამიანთაგან იქმნება, და ხშირად კი ისეთ პიროვნებათაგან, რომელნიც თვით შორს არიან ამ იდეალისაგან. ამიტომაც ძნელი მისი პრაქტიკულ ცხოვრებაში განხორციელება და ზოგიც სრულ უტოპიას წარმოადგენს. ასეთია სოციალიზმიც, რომლის, როგორც ანატომია, აგრეთვე ფსიხოლოგიაც ადამიანის პროდუქტის შედეგია. მაშასადამე, ის არაა იდეალური მოძღვრება, ის უტოპიაა და მისი რეალიზაცია პრაქტიკულ ცხოვრებაში ნაწილობრივადაც შეუძლებელია. განსაკუთრებით დღეს, ჩვენს ეპოქაში მასსა შეპყრობილია ამ ცრუ რწმენით და მარქსისტულ „თანასწორობისაკენ“ მისწრაფება. ზედმეტია მათი დაჯერება და საწინააღმდეგო დებულების მტკიცე-



ბა, მიტომ კი არა, რომ ისინი ბრმანი არიან; არამედ უფრო ცრუ თეორიებით დაბრმავებული არიან. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ისინი საზოგადოების დანარჩენ ფენებზე მატერიალურად ნაკლებად უზრუნველყოფილ და გაჭირვებულ ელემენტს წარმოადგენს. თანასწორობისათვის ბრძოლა, ფსიხოლოგიური თვალსაზრისით, — შურისა და გაუმადლობის გრძობიდან წარმომდინარეობენ. მის გავლენის ქვეშ იმყოფება საზოგადოების დანარჩენი ფენებიც. მუშას შურს მოხელე, მოხელეს ინჟინერი, რაიკომის მდივანს პარტიის მდივანი, პარტიის მდივანს სახალხო კომისარი და ასე დაუსრულებლივ ქრისტესა და ღმერთის მეტოქეობამდე მივიღწენ. ამიტომ იყო, ლენინმა და სტალინმა აიძულა ხალხი ორივე უარეყოთ და შემდეგ ერთმა თავის თავი ღმერთად გამოაცხადა და მეორემ კი ქრისტეთ. ამრიგად თავიდან ბოლომდე შურსა და გაუმადლობას აქვს ადგილი. ყველგანაა თანასწორობისადმი მოსწრაფება, მაგრამ მიუხედავად ამისა, რომელი ქვეყანაც არ უნდა იყოს ეს, განურჩევლად მისი სოციალურ სტრუქტურისა, თანასწორობას ადგილი არა აქვს, იმ უბრალო მიზეზით, რომ ის თვით ბუნებას ეწინააღმდეგება და მაშასადამე, მიუღწეველი და განუხორციელებელია.

ხშირად აზრი და იდეა უფრო ვადამდებია, ვიდრე რომელიმე ავადმყოფობა. მიუხედავად იმისა, რომ აზრი და იდეა შეიძლება თავის არსებით, ცრუ, ყალბი და მავნე იყოს, თუ ცოტაოდნავად ადამიანის შეწუხებულსა და აღელვებულ გონებას შეეფერება, ის ანგარიშს არ უწევს ამ იდეისაგან გამომდინარე მავნე და გამანადგურებელ შედეგებს და ის მის ცხოვრებაში განხორციელებას. თუ ნებით არა, ძალით ლაშობს. ფსიხოლოგიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი იმ განსაკუთრებულ მასიურ ავადმყოფობათა სხვა და სხვა სახეობას და გამორკვეულ იქმნა, რომ მასსაც ეს ავადმყოფობა განსაკუთრებით მაშინ ერევა, როდესაც ის მატერიალურ გაჭირვებას ან მორალურსა და ფიზიკურ ტანჯვებს განიცდის. ამ ნიადაგზედ მასსა ნერვიულ სისტემის წონასწორობას ჰკარგავს და მისი გონებრივი უნარიანობაც ირღვევა. ისტორიაში ყოფილა ასეთი ავადმყოფობით შეპყრობილი ეპოქები. ეს ავადმყოფობა სჭირს დღეს ჩვენს ეპოქასაც. ამ ავადმყოფობას ემსხვერპლა რუსეთი. ამ ავადმყოფობის მსხვერპლი ზღემა ისპანია და მისი ბაცილები სხვა მრავალ ეროვნულ ორგანიზმებსაც ღრღნის.

სულიერი კულტურა, მორალი და უფლება, როგორც შინა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აგრეთვე საგარეო, მსოფლიო პოლიტიკაშიც, მთავარ და მასულდგმულბელ ფაქტორად ითვლება. ის



დღეს ორ უპატიოსნო, უხეშ და მახინჯ ინტერნაციონალით ითვლება: ერთი მხრივ ინტერნაციონალურ კაპიტალით და მეორეს მხრივ წითელ ინტერნაციონალით. ორივეს საყრდენი და საფუძველი უხეშში მატერიალიზმია. ის ბრძოლა, რომელსაც ამ მატერიალისტურ ეპოქაში კაცობრიობა დაეჯახა, სრულიადაც არ სწყვეტს დავას ამ ორ იდეოლოგიას შორის. დღევანდელ ბრძოლას სულ სხვანაირი და განსაკუთრებული ხასიათი აქვს. ეს არაა ბრძოლა მორალურ გაგებათა შორის, არც მალაპოპრინციპთა დაპირისპირება უპირატესობის მოსაპოვებლად. არამედ ამ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, კაცობრიობა ვანიცდის სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლას, უხეშ ფიზიკურ ძალასა და გონებას შორის, ხმალსა და კალამს შორის; ანარჩისა და კანონს შორის. ეს დღემდე უჩვეულო და არ არსებული ბრძოლაა, ბრძოლა ყოველ ფრონტზედ.

უკანასკნელ ხანებში, ყოფა - ცხოვრების წყაროდ გადიქცა, უხეშში ფიზიკური ძალა. ამ ათეულ წლების ისტორია აშკარა მაჩვენებელია მორალურ დაქვეითების, პოლიტიკურ შემოქმედებისა და საზოგადოებრივ იდეალთა გახრწნისა და დაცემის. ეს აშკარად დაამტკიცა უკანასკნელმა საერთაშორისო ომმა, რომ უხეშში ძალა და არა უფლება ხელმძღვანელობდა თანამედროვე ცივილიზაციას. საერთაშორისო ომის, ამ სრულ დრამატიულ პროცესის მეორე საფეხური, როგორც ფაქტორი საერთაშორისო ცხოვრებასა და დიპლომატიაში — ბოლშევიზმია. ის ძალმომრეობის აშკარა განმსახიერებელია; ის მასის ფიზიკურ შემოქმედების აბსოლუტური ზემოდა, რომელმაც ყოველგვარ შემოქმედებას ბრძოლა გამოუცხადა და შემდეგ კი თვით გონებაც დაატუსაღა. მაგრამ სახელმწიფო ორგანიზმში, რომელიც ცოცხალ ინტელექტუალურ ძალასა და აპარატსა მოკლებული, ვერ იარსებებს მხოლოდ ფიზიკურ ძალაზედ დაყრდნობილი. ის ან საკუთარ „ბარალიჩის“ მსხვერპლი გახდება; ანდა, ადრე თუ გვიან, შინაგან ან გარეშე მოვლენათა გავლენის ქვეშ დაიმსხვრევა. აღსანიშნავია ის ფაქტი და გარემოებაც, რომ ამ ვეებერთელა 170 - მილიონიან და პატარა ერთა საპყრობილეში „პროლეტარულ“ ხელისუფლების დამყარებამ უდიდესი გავლენა იქონია მეორე ფაქტორის — საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ფსიხოლოგიურ განწყობილებაზედ. ასეთ ნაირად განწყობილ მუშათა ორგანიზაციებს, საბჭოთა პროკონსულეები, ყოველმხრივ დახმარებას უწყვედნენ საზოგადოებრივი ცხოვრების დეზორგანიზაციის მოსახდენად. სულ ერთია, აღწევდნენ თუ არა ისინი მიზანს, მაგრამ ეფექტი, ცუდი თუ კარგი, მაინც რჩებოდა, რაც საერთაშორისო მუშათა მოძრაობის „ბა-

ლანსს“ ემატებოდა.

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკასა და მდგომარეობას, რაც უფრო და უფრო უკვირდებით და ღრმა ანალიზს უკეთებთ, თანდათან რწმუნდებით, რომ ზემო აღნიშნული ორი ფაქტორი — ერთად თუ ცალ - ცალკე აღებულნი, ჰქმნიან თანამედროვე მდგომარეობის პირობებს და ამავე პირობებითვე სარგებლობენ თავის ნამდვილ თუ მოჩვენებით მიზანთა გასამართლებლად.

სოციალურ პროცესთა არსების შემეცნება და სრული წარმოდგენა ეკონომიურ თვალსაზრისს გარეშე შეუძლებელია. მაგრამ შემცდარი აზრია ისიც, რომ ის სოციალ - პოლიტიკური ცვლილებები, რომელსაც საზოგადოებრივ სტრუქტურაში ადგილი აქვს — მისი ახსნა წმინდა ეკონომიურ თვალსაზრისით შეიძლებოდეს. ამიტომ აქედან თავისთავად ვასაგები და ცხადია, რომ თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიური ქაოსის მიზეზები მარტო ამ ორი ფაქტორით არ ამოიწურება. არსებობენ აგრეთვე სხვა მრავალი ფაქტორები და მიმდინარებანი, რომელნიც აგრე სწრაფად გვაახლოვებენ იმ კატაკლიზმს, რომლის წინაშეც დღეს კაცობრიობა იმყოფება.

დღემდის და განსაკუთრებით კი ომამდის, თუ კი მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისებს, სოციალურ მოვლენათა და დამოკიდებულებათა თანდათან განვითარება ნორმალურ კალაპოტში მიმდინარეობდა. საერთაშორისო ომმა კი ძირფესვიანად შეარყია ძველი პოლიტიკურ - ეკონომიური და სოციალურ ცხოვრების სფეროები, ზოგი ერთ ქვეყნებში სრულიად ახალი პოლიტიკურ - ეკონომიური სისტემა დამყარდა, რამაც თავის გაეღწეწვით, დანარჩენ ქვეყნებშიც ხელი შეუწყო საზოგადოებრივ ცხოვრების სოციალურ ცვლილებების განვითარებას. ერთი სიტყვით, დღეს აშკარა ფაქტია, რომ მსოფლიო თავის სოციალურ სტრუქტურაში დიდ და რადიკალურ ცვლილებებს განიცდის. ისიც ფაქტია, რომ მისი განვითარება არა ნორმალურ პირობებში ხდება. ერთი მხარე იმითაა დაინტერესებული, რომ რაც შეიძლება ხელოვნურათა და იძულებით დააჩქაროს სოციალ-ეკონომიურ მოვლენათა განვითარება, მეორე მხარე კი დაინტერესებულია მისი ბუნებრივი განვითარება, როგორც დააბრკოლოს. როგორც პირველი, აგრეთვე მეორეც შეუძლებელია.

სოციალური ევოლუცია, თავისთავად, საშიშო არაა. პოლიტიკურ ცხოვრებასა და სოციალურ მოვლენათა დუღილში — დინამიური პრინციპები აუცილებელი ელემენტია და ჯანმრთელობის მაჩ-

ვენებელი. სოციალური ევოლუცია — კანონშეზომილი და აუცილებელი მოვლენაა. ამიტომ კმაყოფილებით უნდა ვეგებებოდეთ ისეთ ცვლილებებს, რომელნიც საჭირო და აუცილებელი შეიქმნათ თვით სოციალურ პირობათა ბუნებრივ განვითარების ძალით.

ვ. შ — ძე

### მუსოლინი ბერლინში

დიდი ფსიქოლოგიური ევოლუციის მაჩვენებელია, რომ მუსოლინი პირველი ვიზიტით სწორედ გერმანიას — მსოფლიო ომში საპიწლის მანძილზე იარაღით დაპირისპირებულ ქვეყანას ესტუმრა. ეს პირველი შემთხვევაა, რომ დუჩემ საკუთარი იმპერიის საზღვრები დასტოვა.

ჯერ ძნელია ამ შეხვედრის შედეგების გათვალისწინება, რადგან ფართე წრეებისათვის სრულიად უცნობია ამ ორი ქვეყნის მეთაურთა პირისპირ საუბარში აღძრული საკითხები. ვერავენ იტყვის კონკრეტულად რა საკითხები გადაწყდა, მაგრამ საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ გერმანია - იტალიის მეგობრობა ღრმავდება და რომი - ბერლინის ღერძი ევროპაში გავლენასა და მნიშვნელობას მატულობს.

იტალია - გერმანიის შეთანხმება — თუ ეს მოხდა — თანამედროვე ევროპისათვის მეტად საგულისხმო მოვლენა იქნება. ეს იქნება ახალი ფაქტორი, რომელიც ევროპაში ომის შემდეგ დამყარებულ ძალთა ურთიერთობაში არსებით გადაჯგუფებას მოახდენს. ბერლინის შეხვედრის შემდეგ, წინდახედული ევროპიელები ასეთ პერსპექტივასაც ითვალისწინებენ. ამიტომ ზედმეტი არ იქნება ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას ჩვენმა მკითხველმაც ერთი თვალი გადაავლოს.

როგორც ვიცით, მუსოლინის ჰიტლერთან უკვე ჰქონდა ერთი შეხვედრა ვენეციაში, მაგრამ იმ შეხვედრამ გერმანიისა და იტალიის სახელმწიფო ინტერესების ჭიშობა ვერ შეანელა და ავსტრიის საკითხის გამო — კანცლერ დოლფუსის მკვლელობის დროს — შესაძლებელი ომის აჩრდილიც ჩამოწვა. გერმანიისა და იტალიის პოლიტიკის სოლიდარობას დღემდე ცენტ. ევროპის საკითხი აბრკოლებდა. რომი უთუოდ ადვილად შეურიგდება გერმანიის გავლენის გაძლი-

ერებს ბალტიის მხარესა და უკრაინაშიც, მაგრამ დუნაის ნაპირებზე გერმანიის დამკვიდრება, მისი ადრიატიკის ზღვაზე გამოსვლა იტალიის თავის ეროვნულ - სახელმწიფოებრივ ინტერესებისათვის საზარალოდ მიაჩნდა. იტალიას ამ საკითხში მხარს უჭერდნენ მცირე ანტანტა და საფრანგეთი. ამას გარდა, მცირე ანტანტა და ბალკანეთის კავშირმა პრალისა და ანკარის საშუალებით საბჭოთა კავშირისგანაც დახმარების დაპირება მიიღეს — თუ გერმანია ცენტ. ევროპაში აკტიურ მოქმედებაზე გადავიდოდა. ამ რიგად შემოღობილ ცენტ. ევროპაში გერმანიის გავლენა სავსებით შეიზღუდა და ეს ქვეყნები ფაქტიურად საფრანგეთისა და ნაწილობრივ იტალიის გავლენის სფეროში მოექცნენ.

მაგრამ იტალიის სამეფოს იმპერიად გადაქცევამ ევროპულ პოლიტიკურ წონასწორობაზე დიდი გავლენა მოახდინა და ცენტ. ევროპაშიც რთული დიპლომატიური კომბინაციით დამყარებული ურთიერთობა საგულისხმოდ შეარყია. გერმანიის კეთილ - განწყობილი ნეიტრალიტეტით ზურგ - გამაგრებულმა იტალიამ, მიუხედავად ერთა ლიგაში შემავალ 52 სახელმწიფოს ეკონომიური სანქციებისა, აბაშეთი ისე სწრაფად დაიპყრო, რომ ინგლისის შორს მკვრეტელი დიპლომატიაც სახტად დარჩა. დიდ ბრიტანეთს ინდოეთის გზაზე რომის იმპერია ჩაუსაფრდა. ინგლისმა საპასუხო სამზადისი დაიწყო და სამხედრო უწყების ბიუჯეტი წინა წლებთან შედარებით გაათვციებულა. ბრიტანეთი შელახული გავლენის ასანაზღაურებლად ემზადება. ინგლისის ახალი შეიარაღების უშუალო მიზნი იტალიის გაძლიერებაა. ორი იმპერიის ინტერესები ერთი მეორეს უპირისპირდება. ამ ნიადაგზე მოსალოდნელი გართულებების გათვალისწინება იტალიისაგან სათანადო სიფრთხილეს მოითხოვს და ავსტრიაში გავლენის საკითხი ინგლისის შეიარაღების შედეგებთან შედარებით მეორე ხარისხოვანი მოვლენის სახეს ღებულობს. ამიტომ შესაძლებელია, ბერლინის შეხვედრას ცენტ. ევროპის საკითხში იტალიის კომპრომისი და გერმანიასთან შეთანხმება მოჰყვეს.

ჩვენთვის ეს შეხვედრა სხვა მხრივ არის საყურადღებო. ცნობილია, რომ ჰიტლერს დიდი ხანია დამუშავებული აქვს გეგმა კომუნისმის აღმოსაფხვრელად და პატარა ერების საპყრობილედ — რუსეთის იმპერიის დასაშლელად. ამ გეგმის განხორციელების დაწყებას ზელს უშლიდა დას. ევროპის სახელმწიფოების შეუთანხმებლობა, ამიტომ თუ ბერლინის შეხვედრას იტალია - გერმანიის პოლიტიკური დაახლოება მოჰყვა — ეს იქნება საგულისხმო ნაბიჯი მოსკოვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ევროპული კოალიციის შესაქმნელად.



აღსანიშნავია, რომ ჰიტლერიცა და მუსოლინიც ხაზს უსვამენ ამ შეხვედრის იდეოლოგიურ ხასიათს. ისინი გადაჭრით აცხადებენ, რომ არ დაუშვებენ ევროპულ საქმეებში კომინტერნის ჩარევას. მუსოლინი ბერლინში წარმოთქმულ სიტყვაში ამბობს: — გერმანია-იტალიის აზროვნობის ერთობა გამოიხატება ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და იძლევა ბოლშევიზმის ზედმიწევნით სწორ დაფასებას. ამავე დროს მუსოლინის თანამშრომელი, ცნობილი იტალიელი ჟურნალისტი ჰაიდაც იმეორებს, რომ ბერლინისა და რომის პოლიტიკის მთავარი საზრუნავია დაარწმუნოს ყველა ევროპული სახელმწიფოები, რომ საჭიროა ბოლშევიზმისაგან თავდაცვა შეერთებული ძალ-ღონით.

ამ სიტყვებში ჩვენთვის სანუგეშო ნოტებიც არის. ბოლშევიზმის რაობა საქართველომ ძალიან კარგად იცის და კულტურულ ევროპას მეტად დიდი დრო დასჭირდა კომუნისმის მთელი სიმახინჯის დასანახავად. საჭირო შეიქმნა გათავებულ კომინტერნს მთელი რიგი მოწინავე ქვეყნებისა სამოქალაქო ომის ცეცხლში გაეხვია და ევროპის ცივილიზაცია რეალური საფრთხის წინაშე დაეყენებინა. მთელი ოცი წლის მანძილზე ევროპის სახელმწიფოები ერთმანეთს ეჯობებინან, ქვეყნიერების ამრევი კომუნისმის ბუდე — მოსკოვს მეგობრობა გაუწიონ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ევროპამ საკუთარ მკერდზე აღიზარდა შხამით სავსე მორიელი. ევროპის ფულითა და ტენიკით ფეხზე დაყენებული და განმტკიცებული „ყველაზე მრისხანე ტირანია“ ეხლა თვით ევროპას დაემუქრა. მუსოლინი სამართლიანად ამბობს, რომ ბოლშევიზმი არის „ყველაზე მრისხანე ბიზანტიური ტირანიის თანამედროვე ფორმა, მთავრობა — ბნელი მასების გაუგონარი ექსპლოატაციისა, შიმშილისა, სისხლისა და მონობისაო ეს სრული ქეშმარიტებაა, მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ ამ მთავრობასთან კეთილი ურთიერთობა დღემდე ფაშისტურ იტალიასაც ჰქონდა. ამიტომ არის საგულისხმო მუსოლინის დღევანდელი სიტყვები. ეს მოწმობს, რომ ევროპის აზროვნებაში ამ საკითხისადმი მიდგომა იცვლება და უშუალო საფრთხის წინაშე დამდგარი დასავლეთი იძულებული ხდება თავდაცვაზე იფიქროს. ძნელი სათქმელია, რამდენად საიმედოა ამ საკითხში ევროპის წინდებულეებაზე იმედის დამყარება, მაგრამ დღევანდელ პირობებშიც ჩვენთვის გამამხნეველებელია, რომ რუსულ იმპერიალიზმთან ბრძოლაში საქართველოს ძლიერი მოკავშირეები უჩნდებიან.

## ორი ფრონტი

დიდი ომის შემდეგ არასოდეს ისეთი ნერვიული არა ყოფილა საერთაშორისო მდგომარეობა, როგორც ამჟამად. წარმოდგენას გადაცილებულია მოვლენათა ელვისებური სისწრაფით წარმოშობა და განვითარება. დღეს ვერავინ იტყვის დაბეჯითებით, თუ ხვალ რომელ მოულოდნელობას შევეჩვენებით.

ამ მოულოდნელობათა ქაოსში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს უკანასკნელ წლებში ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოებში შექმნილი „დემოკრატიული“ ანუ უკეთ ვსთქვათ, „სახალხო ფრონტები“, რომლის მიზანიც ფაშიზმთან ბრძოლაა.

თუ ეს ევროპისათვის ახალი მოვლენა არის, სამაგიეროდ ქართულ ფრონტს თავისი ისტორია უკვე აქვს და ქართველი მარქსისტები ამ გარემოებას უყურადღებოდ არ დასტოვებდნენ, რომ ასპარეზზე მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი არ გამოსულიყო, რომელმაც, როგორც წარსულში, დღესაც პირველობა დაიჩემა და ჟორდანის ფრონტის დამსახურება დაისაკუთრა.

„კაცო მოყვარე და მშვიდობიანობის დამცველ“ მოსკოვმა სათანადო ნაბიჯები გადასდგა და თავისი დიპლომატიის პირით არა ერთხელ განაცხადა, რომ დემოკრატიის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ მის გაერთიანებას ფაშიზმთან ბრძოლაში. სათანადო ბრძანება კომინტერნმაც მიიღო, რის შედეგაც დღეს არსებული „სახალხო ფრონტია“, მომლოდინე და აღმასრულებელი მოსკოვის ბრძანებებისა.

ერთი მხრით გაჩნდა „დემოკრატიის“ უზენაესობის დამცველი სახალხო ფრონტები, რომელსაც მოსკოვი ხელმძღვანელობს, მეორეს მხრივ კი — მოსკოვის ნეურვიგებელი ძალა, ბერლინისა და რომის ხელმძღვანელობით. ამ უკანასკნელთა მიზანი და მათი მოქმედების გეგმა ყველასათვის ნათელია. ეს კომუნიზმის დამხობა და რუსეთის დანაწილება არის. მუსოლინიმა არა ერთხელ განაცხადა მსოფლიოს გასაგონად, რომ ხმელთაშუა ზღვაზე წითლებს არ დაუშვებო, ხოლო უკრაინის მდიდარ მიწებებზე შეეყვარებული პიტლერის წარმომადგენელი გუგენბერგი — ლონდონის ეკონომიურ კონფერენციაზე, რუსეთის დანაწილების გეგმას არდგენს, ევროპის სასიცოცხლო ინტერესებით დასაბუთებულს.

ამ ზრახვებმა განსაკუთრებული ხასიათი მიიღეს ბერლინ - რო-

მისა და ბერლინ - ტოკიოს საბოლოო შეთანხმების შემდეგ. ამ დღიდან მათი მოქმედება ამ მთავარ მიზანს, კომუნისმის დამხობას, აღარ დაშორებია.

მათი პრიველი შეიარაღებული დატაკება, ისპანიაში მოხდა. როგორც არ უნდა იყოს ერთა ლიგის რეზოლუცია ამ საკითხზე და რაც არ უნდა ამტკიცოს ჩაურევლობის კომიტეტმა, მაინც აშკარა ინტერვენციის ფაქტს ვერ წაშლიან.

ერთის მხრივ იბრძვის, რომისა და ბერლინის მიერ მხარ-დაჭერილი და განმტკიცებული გენ. ფრანკო — ისპანიის ერის უზენაესობისთვის, მისი მოსკოვის გავლენიდან განსათავისუფლებლად, მეორეს მხრივ კი სახალხო ფრონტი, მოსკოვის მიერ შექმნილი, წაქეზებული და მხარ-დაჭერილი.

ამ ორი ძალის საჯარო დაპირისპირების შედეგი, არა პირდაპირ, გადაჯაჭვულია ჩვენი ქვეყნის ბედთან. რადგან, ისპანიაში მოსკოვის გამარჯვებით დამარცხებული ბერლინ - რომი იძულებული იქნებიან თავის საბლოო მიზანი — რუსეთის დანაწილება — სხვა, უფრო ხელსაყრელი დროისათვის გადასდონ, ხოლო თუ გამარჯვება ამ უკანასკნელთ ერგო, ეს მათ საბოლოო მიზანთან აახლოვებს, რის მომლოდინე და მსურველი ჩვენცა ვართ.

ამიტომ ბუნებრივი იქნებოდა, რომ მოსკოვის მიერ დაპყრობილს და უფლება - აყრილ საქართველოს, მოსწონს თუ არ მოსწონს ფაშიზმი, როგორც მის არა პირდაპირ მოკავშირესა და მეგობარს, როგორც ამჟამად ერთად - ერთ ძალას, რომელიც ებრძვის მოსკოვსა და მის ზრახვებს — მხარე მისი დაეჭირა: ამ დაპირისპირებაში საქართველოს არჩევანი არა აქვს.

დემოკრატიული ფრონტი დაპყრობილ ქვეყანას არ არგებს, რადგან იგი რიცხავს იმით თანამშრომლობას, ვისთვისაც დემოკრატიზმი თვით ღირებულებას არ წარმოადგენს. ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული მდგომარეობა კი გვავალდებულებს სრულს ერთობას, რომელიც მოსახერხებელია ეროვნულს ფრონტში და არა დემოკრატიულში. თუ ქართული ემიგრაციის მიზანი არის არა იდეათა ძიება, არამედ გამანათავისუფლებელი ბრძოლის ბოლომდე მიყვანა და გამარჯვებით დაგვირგვინება, საჭიროა ქართულმა ნაციონალურმა გამოიჩინოს იმდენივე მოქნილობა, რამდენიც აქვს სიმტკიცე, რათა დროისა და გარემოების მიხედვით, ახალ პოზიციებზე გადასვლა არ გაუჭირდეს.

მაგრამ სჩანს ყველას ერთნაირად არ ესმის ქართველი და საქართველო და არც თავისი მოვალეობა ქვეყნის წინაშე. ან კი რა უფლე-

ბა გვექონდა გვეფიქრა, რომ დღესაც პარიზის კომუნის მოტრფივალე და მეორე ინტერნაციონალის — იმ ინტერნაციონალის, რომელმაც არა ერთხელ მიიღო რუსეთის სასარგებლო რეზოლუცია, „რათა იგი შეინაზოს რევოლუციის კერად“, მსახური და მონა საქართველოს ყოფილი მთავრობის თავჯდომარე ან მისი მინისტრები, ან მისი ცენტრი და ფრონტი დღეს ამაღლდებოდნენ ეროვნული ინტერესის გაგებამდე და ღირსეულ პოზიციას დაიჭერდნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენი „სახელოვანი“ მთავრობა და მისი ფრონტიც ამ საერთო ფერხულს აპყვენენ და მოსკოვის შორჩილებაში მყოფ სახალხო ფრონტის რიგებში ჩასდგნენ.

ჟორდანიას ფრონტის ორგანო „დამოუკიდებელი საქართველო“ სავსეა რომისა და ბერლინის შეგინება — დაწუნებით, ხოლო მისი მინისტრი ბ-ნი კ. გვარჯალაძე „ბრძოლის ხმაში“ ლარგო კაბალეროს იცავს და ამ გვარად მაღალ დემოკრატიულის მოსაზრებით მოსკოვის წისქვილზე წყალს ასხავს.

თუ აქამდე კიდევ მოიძებნებოდნენ ქართველებში, ვინც ჟორდანიას ფრონტში ეროვნულ ერთობას და ეროვნულ ინტერესს ხედავდა, დღეს ამ ილუზიას აღარავინ ატარებს.

დღეს, უკვე ყველასათვის აშკარა არის ამ ფრონტის ნამდვილი აზრი და მნიშვნელობა, მისი ბუნება და ხასიათი, ამიტომ ვეღარავინ დაასაბუთებს ამ ფრონტში ყოფნას, მის არსებობას ეროვნულის საქირთებით, ვერც მომავალში იპოვნიან თავის გასამართლებელ სიტყვას, იქ დაბუდებული ეროვნული მოღვაწენი.

თუ ზოგიერთებს დღევანდლამდე კიდევ სჯეროდათ, რომ ყორნის ქეიშით გათვითრება შეიძლებოდა, და ჟორდანიას მოხელეთა კრებულს ქართული ცენტრის და საერთო თუ სახალხო ფრონტის სახელს არქმევდნენ, დღეს ყველასათვის ნათელი არის, რომ სწორედ ეს „ცენტრი“ შეიქმნა ქართული ერთობის დამშლელი, რომ სწორედ ამ „ცენტრში“ ითარგუნება ქართული ინტერესები და რომ სწორედ ამ „ცენტრმა“ გაუტეხა სახელი საქართველოს და მეგობართა რიცხვიც შემოუფანტა.

ჩვენ გვრწამს, რომ ეს „ცენტრი“ თუ ფრონტი ჩვენი ეროვნული ტრადიციის უკანასკნელი აკტია.

ივერიელი.

(ე. ს. ს. ს. ს. ს.)

## ✓ ძველი ღვარძლის დემონსტრაცია

„ძველად ამბობდენ, რომ  
სხვაგვარადა სცნობენ ალებს,  
ასე სიკვდილი ელის გენიოსს  
სასახლეები კი ნაძირალებს“.

გ. ტაბიძე

დღეს ტყვედ - ქმნილი საქართველო დღესასწაულობს მისი დიდი შვილის, მისი წინამძღვრის, მისი დიდებისათვის სამსხვერპლოზე მიტანილ ილია ქავეჭავაძის დაბადებიდან 100 წლის თავს. საკვირველი და გასაოცარი აქ არაფერია. საკვირველი და არა ბუნებრივი და თუ გნებავთ სასწაულებრივი აქ ის გახლავთ, რომ ამ ამბავში მხურვალე მონაწილეობას იღებენ და მეტად აქტიურს იხინიც კი, ვინც დაუზოგავად ებრძოდნენ ილიას პიროვნებას, მის აზრებს და მოღვაწეობას. მტერმა სამტრო ფარ - ხმალი დაჰყარა და მონანიებით ქედი მოიხარა. ჩვენ აქ წერტილს დავსვამდით და მარტო ამ ფაქტის აღნიშვნით დავკმაყოფილდებოდით, რომ ბ. ნ. ჟორდანიას ამ საერთო კმაყოფილება - სიამოვნებაში ერთგვარი დისონანსი არ შეეტანა.

ბ-ნ ნ. ჟორდანიამ თავის ოფიცოზში ორი მოზრდილი ფელეტონი უძღვნა ჩვენს ორს დიდს პოეტს: ილიას და აკაკის. ამდენი ქება - დიდება და ხოტბის შესხმა არ მოსწრებია ნ. ჟორდანიასაგან არც მარქსს და პლენხანოვს. მხოლოდ ქება - დიდება ილიასი და ისიც ბ-ნ ნ. ჟორდანიასაგან? ეს რა ამბავია? რა სასწაულმოქმედებაა? ჩვენი განცვიფრება ზღვარუღებელია და უნებლიეთ ვეკითხებით ჩვენს თავს: ნუ თუ ეს ის ცნობილი „ანი“-ა, რომელმაც ასე უღმობელად და უზომოდ ჰკორტნა და ღრღნა ბევრი ქართველი მამულიშვილი და მოღვაწე? ნუ თუ ეს ის ნოე ჟორდანიია, რომელმაც ქართველი ერის უბადლო წინამძღვრის მოწამებრივ სიკვდილს უძღვნა წერილი სამარცხვინო სამარცხვინოთა შორის: „ტყესა სჭრიან, ნაფოტი სცვივა“-ო? მაგრამ ჩვენს განცვიფრებას მალე ბოლო მოეღო და ფელეტონის დასასრულში ისევ ძველის - ძველ ნ. ჟორდანიას ვხვდებით. ბევრ ქება - დიდების და დიდფირამებების შემდეგ ბ. ნ. ჟორდანიას დაასვენის: „ილიას შემოქმედებაში მოხდა ერთი საოცარი ამბავი, რომლის მზგავსი არ მომხდარა არც ერთი დიდი პოეტის ცხოვრებაში, მისი ქნარი ადრე შენელდა, მისი ხაზი ადრე შეიცვალა. 34 წლის ილია ტვირთ - მძიმეთა მუხას ეთხოვება, სოციალური ჰანგები ქრება და ეს იწვევს ნაციონალურ პოეზიის მოღუწებასაც. 1872 წელი



არის მისი უმაღლესი მწვერვალი, რომლის შემდეგ უკან ექანება, შემდეგ სიკვდილამდე.“ სად უნდა ვეძიოთ ამ „დაქანების“ მიზეზი? ნ. ჟორდანიას აზრით, ეს მიზეზი ბანკი ყოფილა. ის განაგრძობს: „პოეტი ბანკირის როლში ქვეყანას არ მოსწრებია. პოეტი პოეტობს იმდენად, რამდენად დამოუკიდებელია ძლიერთა ამ ქვეყნისაგან. მუზა ითხოვს სრულ თავისუფლებას, უამისოთ ის უარს ამბობს სიუჟეტის ამორჩევაზე. რა კი ილიას დაეკარგა ეს დამოუკიდებლობა და გახდა დამოკიდებული იმ ბატონებზე, რომელთაც წინეთ ებრძოდა, ცხადია, ამით დააშრო წყარო შემოქმედებისა; ის ვერ შეივარძნობდა, ვერ განიცდიდა იმ ხალხის ჭირ - ვარამს, რომელსაც ის დაშორდა.“ ჩვენ არ ვიცით, რა შთაბეჭდილება დასტოვა მკითხველზე ნ. ჟორდანიას ამ „მარგალიტებმა“; ჩვენის მხრით კი ვფიქრობთ, ამის მზგავსი კრიტიკოსი მართლაც ქვეყანას არ მოსწრებია. მართალია, დიალექტიურმა მატერიალიზმმა იდეოლოგიის, ფილოსოფიის და ზელოვნების და საერთოდ ადამიანის სულიერ კულტურის შეფასების ცდაში სასაცილო დასკვნებს გარდა სხვას ვერაფერს მიაღწია, მაგრამ ასეთი სასაცილო და უხეში ინტერპრეტაციები, როგორც ბ. ნ. ჟორდანიასი გახლავთ, მტერმა გვაშოროს, აქ „კუბოშიც მწარეთ გაგეცინება, სასაცილოა სასაცილოზე“. ბ. ნ. ჟორდანიას აზრით, პოეტი და ბანკირი სად გაგონილა. ეს ორი სხვა და სხვა ამბავია, ისტორიაში უცნობი. მაგრამ ვინც მსოფლიო ლიტერატურის კორიფეების ბიოგრაფიაში ჩაიხედავს, ნახავს ბევრს ისეთს რამეებს, რაც ბ. ნ. ჟორდანიას ალბათ „ყარამანიანი“-დან ამოკითხულ ზღაპრად მოეჩვენება. თავი დავანებოთ შატობრიანებს და ლამარტინებს. შეეჩერდეთ მხოლოდ გოეთეზე. ეს მსოფლიო მნიშვნელობის მწერალი, ამავე დროს სახელმწიფო მოღვაწე, დატვირთული და დაყურსული სახელმწიფო საქმეებით და „ძლიერთა“ თავყანისმცემელი, მოწიწებით ეგებება ნაპოლეონს და უბოძებს ფრანგულად თარგმნილს თავის „ვერტერ“-ს. გოეთე საუკეთესო ბიოლოგი, მრავალი ბიოლოგიური ნაშრომებით და აღმოჩენებით; ასე რომ პოეტი სახელმწიფო მოღვაწის როლში შესაძლებელი ყოფილა; რატომ არის პოეტი შეუძლებელი ბანკირის როლში? ეს იმიტომ, რომ ილიასთან გვაქვს საქმე. ბ. ნ. ჟორდანიას ღვარძლს ილიასადმი სხვანაირად არ შეუძლია იმსჯელოს. არავითარ ხაზის შეცვლას, უკეთ რომ ვსთქვათ, შემოქმედებითს წყვეტს ილიას პოეზიაში ჩვენ ვერ ვხედავთ.

1870 წლიდან ქართველი ერის ცხოვრებაში იწყება ახალი ბრძოლები. პატრიოტულ რომანტიკამ თავისი ვალი მოიხადა. ეხლა საქმემ და მოქმედებამ უნდა დაიჭიროს მისი ადგილი. მოქმედების არე გა-

ფართოებულია. ილია „სტოვებს“ მწერლობას და პრაქტიკულ საქმიანობაში გადაეშვება. სწყდებოდა ქართველი ერის გადარჩენის საკითხი, ეს კი მოითხოვდა ეროვნულ ძალების მობილიზაციას. „აჩრდილის“ პროგრამას ესხმის ხორცს ასხამს, სინამდვილეში ანხორციელებს. 1872 წლიდან იწყება ილიას შემოქმედების „დეკადანსი“-ო. ნუ თუ? სწორედ ამის შემდეგ 41 წლის ილია სწერს „დიმიტრი, თავდადებულს“, 46 წლის ილია „განდეგილს“ და 50 წლის ილია „ოთარაანთ ქერივს“, ყველა ეს საგანთა თუ ფორმათა ნაირობით და იდეათა სიღრმით, განსაკუთრებით „განდეგილი“ თავისი ფილოსოფიური შინაარსით და შეუღარებელი პოეტური სიტყვა - კაზმულობით, ქართული სიბრძნე - სიმშვენიერის ქაშნიკა, რომლის წყალობით, ჩვენ თამამად და თავისუფლად შეგვიძლია გავიღებთ მსოფლიო ლიტერატურის „ბაზარზე“. დაბოლოს, არ შეგვიძლია ერთი გარემოება დავსტოვოთ უყურადღებოთ. ბ. ნ. ჟორდანიას აკაკი წერეთელი ცამდე აპყავს. „პოეტი - მოქალაქე, პოეტი მეტროპოლი, მამაცი, უშიშარი, შეუღრეკელი, აი ვინ იყო ჩვენი მგოსანი, ჩვენი აკაკი“-ო. ილია? ილია კი ქართველთა თავადაზნაურობის დახლიდარი და მონა - მოსარჩლე!

ბ. ნ. ჟორდანიას სულს უშფოთებს ფიზიკურად მკვდარი, მაგრამ სულიერად და იდეურად გამარჯვებული ილია. ძველმა ღვარძლმა გაიღვიძა მასში. მისი „ორი პოეტი“ ამ ძველი ღვარძლის დემონსტრაციაა.

ვათაგებთ ჩვენს წერილს ბ. ნ. ჟორდანიას სიტყვებით, მიმართულს ერთ-ერთ ქართველ მოღვაწისადმი: „მწერალს გარდა წერის სურვილისა, სხვაც რამ უნდა გააჩნდეს“.

აღფა



## დახვრებები საქართველოში

რუსეთის დიდ კომუნისტთა პროცესებმა და დახვრებამ საქართველოშიც კპოვა გამოძახილი. დაატუსაღეს და გაუსამართლებლად დახვრიტეს ჩვენი დამოუკიდებლობის პირველი ლახვარის ჩამცემი ბუღუ მდივანი და კომპანია.

გაზეთებმა შეგვატყობინეს, რომ მდივანმა დატუსაღების ეამს თითქო განაცხადა: „გადაეციო სტალინს, რომ დანტონის შემდეგ ჯერი რობესპიერის დადგა და რომ ტფილისი მოსკოვი არ არის და

არც ჩვენა ვართ ზინოვიევი და კამენევიო“. ამ განცხადებაში ერთ-გვარი მუქარა არის, მუქარა დღეს უკვე შესრულებული იმით, რომ სტალინმა თავისებური სასამართლო ველარ მოაწყო, ქართველ კომუნისტებს ცრემლი ვერ აღვრევინა, პატიება ვერ ათხოვინა. აქ საჭმე გვაქვს რასიულ თავისებურებასთან.

უფრო გვიან ქ. სიღნაღში გასამართლებულ იქმნა მეორე წყება ქართველ კომუნისტებისა, რომელიც, გაზეთების ცნობით, თავისი მნიშვნელობით პირველია ზინოვიევი - კამენევის პროცესის შემდეგ. დახვრეტილ იქმნა შვიდი კომუნისტი და ოთხს მიესაჯა 8 — 10 წ. თავისუფლების აღკვეთა.

პროცესზე ერთ - ერთ კომუნისტს განუცხადებია, რომ „აღნიშვილის ცნობით, საბჭოთა რუსეთი ვერ ასცდება კაპიტალისტურ ქვეყნებთან ომს, რომ იგი მოახლოებული არის და საჭიროა იმ დროისათვის მზად ყოფნა, რომ დამოუკიდებლობა გამოავაცხადოთ. ამ მიზნით ისინი ქმნიდნენ ორგანიზაციებს, იძენდნენ იარაღს, ხოლო თვით აღნიშვილს უნდა შეეჭმნა მთავრობა, რომლის თავჯდომარე თითოევი იქნებოდაო“. თუ ამ განცხადებას დავუჯერებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ 16 წლის ბატონობის თავზე, მათ მიერ გაპარტახებულ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის კომუნისტები იხვრიტებიან.

ჩვენი ჟურნალის მესამე ნომერში ვსწერდით, რომ „სოციალისტური ყოფა თავიდანვეა გაორებული და გაბატონებული იდეალის როლს მასში სოციალიზმი თამაშობს. ეს უკანასკნელი ჩრდილავს საშობლოს სახეს, მას ებრძვის, აზიანებს და თანდათან რიყავს თავის მსხვერპლის არსებიდან. მხოლოდ დიდი ეროვნული კატასტროფის დროს სოციალისტებში პრიმატის ძალას ისევ ეროვნული გრძნობა იბრუნებს, თორემ ნორმალურად სოციალისტური სულიერი ყოფა ანტიეროვნულია“.

ჩვენ ეს ამონაწერი მოვიყვანეთ დახვრეტილ ქართველ კომუნისტთა მდგომარეობის ასახსნელად.

ნუ თუ აღსრულდა და პრიმატის ძალა ისევ ეროვნულმა გრძნობამ დაიბრუნა?!

მ.

Redaction et Administration: Mr V. Djibladzé.  
8, rue Coytel, 8 Paris (13)

Cérante: M. A. Meliva. Imp. de Navarre, 5, rue des Gobelins, Paris (XIII)